ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 24 (1397) | 15-19 ნოემბერი, 1994 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე როქი

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მეთაურმა სამშაბათის სხდომაზე, დებატების დროს ქიში (იგივე უნდობლობა) გამოუცხადა პარლამენტის სპიკერს, „დაფაზე“ მოხდა მოკლე როქი (იხ. ქვემოთ მოტანილი სურათები). გრძელი როქი მოსალოდნელია მთავრობის რეორგანიზაციის დროს...



სპიკერის სავარძელში — სპიკერი ვახტანგ გოგუაძე
გვერდით — სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი



სპიკერის სავარძელში — სპიკერის მოადგილე
ვ. რჩეულიშვილი
გვერდით — სპიკერი ვ. გოგუაძე

„ვახტანგის ადგილს იჭერს „ხეჩუა,“
„მოტეხეს“ კაცი თვალდახელშუა...

«...თუ გაცხარდა, ცხარეაო»

სამშაბათის საპარლამენტო დებატებზე, ჩვენთვის მოულოდნელი და მისთვის უჩვეულო სითამამით წარსდგა ვიცეპრემიერი ეკონომიკის დარგში ბატონი თემურ ბასილია, რომელიც გაცხარდა იმის გამო,რომ ზოგიერთმა დეპუტატმა უნამუსო უწოდა მის იმ განცხადებას, თითქოს რეფორმა მიმდინარე წლის გაზაფხულიდან დაიწყო და ახლაც გრძელდება პურზე ფასის მომატების სახით. ეს იმდენად არასერიოზული განცხადებაა, რომ სერიოზული არგუმენტების მოყვანას ვერ დავიწყებთ. ჩვენ მხოლოდ გვსურს ორიოდ ინფორმაცია მივაწოდოთ დაინტერესებულ მკითხველს.

აქ მოტანილ დიაგრამაზე, რომელიც გადმობეჭდილია გაზეთ „ფინანსოვაია იზვესტია“-დან, ნაჩვენებია ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნების სია, რომლებმაც მიიღეს დახმარება მსოფლიო ბანკიდან. ამ სიაში არ არის აზერბაიჯანი, რომელსაც სულ ახლახან გამოეყო ასეთივე დახმარება. ასე რომ, მხოლოდ ორი ქვეყანა — საქართველო და ტაჯიკეთი დარჩა, რომლებიც არ ატარებენ რეფორმებს და ვერ ღებულობენ ამ ორგანიზაციებიდან მხარდაჭერას. ასეთივე მდგომარეობაა სავალუტო ფონდიდან კრედიტების გამოყოფის საკმეშიც, სადაც კვლავ ეს ორი ქვეყანა არის ერთ რიგში ჩაყენებული. თავად ბატონ თემურ ბასილიას საპარლამენტო გამოსვლიდან ცნობილი გახდა, რომ ნოემბრის თვეში დაგეგმილი საქართველოსთვის სავალუტო ფონდის მხრიდან სისტემური ტრანსფორმაციის სესხის გამოყოფა კვლავ გადაიდო და სავარაუდოდ ეს დეკემბრისთვისაა გათვალისწინებული. არადა, ხომ ვიცით, გადაიდო იმ მიზეზით, რომ განსხვავებით ჩვენი ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანისა, მათ სულაც არ მიაჩნიათ ნორმირებულ პურზე ფასების მატება (და არა განთავისუფლება) რეფორმის დაწყებად.



ტაჯიკეთისა და საქართველოს ერთ კონტექსტში მოხსენიება არცთუ არაიშვიათია უცხოეთის პრესაში, რაც, ალბათ, ამ ქვეყნების პოლიტიკური ვითარებითაცაა ნაკარნახევი. ოქტომბრის თვის ცნობილ ინგლისურ გაზეთ „ფაინენშელ ტაიმს“-ში, რომელშიც მოცემულია მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობის მიმოხილვა, ვკითხულობთ: „რეგიონალური კრიზისები,ისეთები, როგორიც მიმდინარეობენ საქართველოში და ტაჯიკეთში, მოწმობენ იმას, თუ როგორ შორს ვართ ახალი მსოფლიო წესრიგისაგან“.

კიდევ ერთი ინფორმაცია:

ინტერფაქსის მიერ გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ 15 ოქტომბრიდან უზბეკეთში აკრძალულია ვაჭრობა რუსულ მანეთებში და კონვერტირებულ ვალუტაზე ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე. ქვეყნის ეროვნული ვალუტა სუმი ხდება შიდაკონვერტირებადი. ასე რომ, კვლავ ორი ქვეყანა საქართველო და ტაჯიკეთი ფუნქციონირებს გაურკვეველ საფინანსო რეჟიმში. ალბათ, მიუხედავად პარლამენტის გადაწყვეტილებისა კუპონის ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად დადგენის შესახებ, მთავრობისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა კანონი, არამედ ბატონ ე. შევარდნაძის მიერ რადიოინტერვიუებში გამოთქმული დირექტივები, სადაც არაერთხელ უთქვამს, რომ აუცილებელია დემოკრატია ყველა, მათ შორის ფინანსურ სფეროში, რაც მისი აზრით ნიშნავს მიმოქცევაში ყველა ვალუტის თავისუფალ გამოყენებას.

აი ასეთი, „პროვინციული დემოკრატიის“ მსხვერპლი გახდა ჩვენი დემოკრატიული კუპონი.

ფრიდონ ასლანიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდ ამბებს ვხედავთ...

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის და ფრაქცია «რესპუბლიკელების» სახელით დავით ბერძენიშვილის მიერ 8 ნოემბერს წარმოთქმული სიტყვა პარლამენტში

11 ოქტომბრის ხელისუფლება დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რეფორმების ლოზუნგებით მოვიდა ქვეყნის სათავეში, უფრო ზუსტად, ლეგიტიმურობა სწორედ ამ იდეებით შესძინა საკუთარ თავს. დეკლარირებული დამოუკიდებლობის სურვილი სტრატეგიულ ამოცანად იყო გამოცხადებული ბ-ნი შევარდნაძისა და ყველა მეტ-ნაკლებად გავლენიანი პოლიტიკური ძალის მიერ. ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხი ცალსახად განისაზღვრა, როგორც რუსეთისაგან მოშორების, ანუ რუსეთის საქართველოდან გასვლის ამოცანა. საბჭოთა იმპერია ჩვენთვის რუსეთის იმპერიის მორიგი ფორმა იყო, მისი მოდიფიკაცია. СНГ — ისევე მიუღებელი, როგორც მისი ადრინდელი ფორმები. 1993 წ. დასაწყისში ბატონი შევარდნაძე პარლამენტის სხდომაზე ბრძანებდა „თუ გახსოვთ, ადრევე, როდესაც ვლაპარაკობდით ასეთ ურთიერთობებზე, მწვავედ იდგა საკითხი, საქართველო შევა თუ არა СНГ-ში, შეიძლება აქ მსხდომი ბევრი ფიქრობდა, ჩამოვა თუ არა შევარდნაძე, პირველი, რასაც გააკეთებს, ისაა, რომ შეეცდება შეიყვანოს საქართველო СНГ-შიო. ეს რომ იყოს გარანტი ჩვენი უფრო დიდი დამოუკიდებლობის და ძალიან დიდი ეკონომიკური დივიდენდების მიღებისა, შეიძლება მართლა მეთქვა, მაგრამ არ მჯერა იმ წარმონაქმნის, მე თვითონ ვაცხადებდი, რომ იქ არ შევალთ“ (4.02.93 წ.). რუსეთისა და მისი ორბიტისადმი ეს დამოკიდებულება ქართველი ერის, მისი ხელისუფლების სტრატეგიული ამოცანა იყო. იგი ტაქტიკური ლავირების სფეროს არ განეკუთვნებოდა. ამ მიზნის განხორციელების ფორმებზე ედავებოდნენ ერთმანეთს ჩვენი ინტელექტუალები, პოლიტიკური ძალები. ამ დავაში იყო პროვინციალიზმიც, უწიგნურობაც, სიბილწეც, მაგრამ ურყევი რჩებოდა თეზისი: საქართველოს სახელმწიფო რუსეთისაგან დამოუკიდებლად უნდა აშენდეს.

„რამდენადაც რუსეთის მდგომარეობას ვაკვირდები, საერთოდ მეკარგება იმედი, რომ თუ გარეშე დაბრკოლება შეექმნათ, მაინც შეძლებენ სიკოცხლისადმი დაბრუნებას. თითქოს ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ არ შეუძლიათ, არ უნდათ და ვერ იტანენ სიკოცხლის ფაქტს. მათ დამოკიდებულებაში სიკოცხლისადმი რაღაც ფუნდამენტურია დარღვეული, თითქოს ეშინიათ ამ ტკივილისა, ვერ იტანენ მას და ამიტომ აღარც სურთ, ან აღარ შეუძლიათ სიკოცხლე. ჩვენ კი, ქართველებს, გაგვაჩნია რაღაცგვარი, მე ვიტყოდი აფრენილი, მსუბუქი, მაგრამ ძალიან მყარი და ღრმად ფესვგამდგარი სიყვარული სიკოცხლისადმი. შეიძლება ამან გადაგვარჩინოს და აგვატანინოს ეს გარდუვალი ტკივილი“ (21.04.90. საუბრები ფილოსოფიაზე გვ. 130) — ეს მერაბ მამარდაშვილის სიტყვებია. ამ იდეებს ქადაგებდა აკაკი ბაქრაძე უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკებსა თუ ქარხნებში 70—80-იან წლებში. ამ სულის კვეთებისანი იყვნენ და დარჩნენ ოთარ ჭილაძე, ჯემალ ქარჩხაძე, გურამ გეგეშიძე, ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩანაშვილი — ანუ ქართული მწერლობა. (ისინი ჩამოვთვალე, ვისი პოზიციაც СНГ-ში შესვლის თაობაზე საჯაროდ გამოითქვა. ვინც ვერ გავიხსენე, მათ ბოდიშს ვუხდი). ასევე აღვიქვამდით ბ-ნ ჭაბუასა და ბ-ნ ელდარის მოღვაწეობას მაშინ, ასე ამზადებდნენ ჩვენ თაობას დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენს პარლამენტს მისი მუშაობის პირველ თვეებში ასე თუ ისე გაცნობიერებული ჰქონდა, რომ რუსეთის მიერ შექმნილი უმძიმეს პრობლემებს რუსეთის მეშვეობით ვერ გადავწყვეტდით. მაშინდელი დოკუმენტები, არცთუ თანმიმდევრულად, მაგრამ მაინც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების სტრატეგიულ ამოცანას — რუსეთისაგან მოცილებას ემსახურებოდა. შეგახსენებთ ჩვენს დადგენილებას 1993 წ. 25 თებერვალს: 1. დაუშვებლად იქნეს მიჩნეული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის საჯარისო ნაწილების შემდგომი ყოფნა; 2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს, აწარმოოს მოლაპარაკება რფრ პრეზიდენტთან კონფლიქტის ზონიდან რუსეთის საჯარისო ნაწილების გაყვანის თაობაზე.

სიტუაციის კრიტიკულობას გრძნობდა სახელმწიფოს მეთაურიც, ყოველ შემთხვევაში, მისი სიტყვებიდან ასეთი დასკვნა უნდა გამოეტანა მიუკერძოებელ ადამიანს: „... ჩვენ ვამბობთ, ღირსეულად დავამთავროთ ეს ომი. მე უფრო კატეგორიულად ჩავწერდი, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა იმ მიმართებით, ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, აფხაზეთის შენარჩუნებისათვის, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის — თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს, მის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს, პრემიერ-მინისტრს და შესაბამისად ჩვენ ორივე მზად ვართ წარვდგეთ პარლამენტის სასამართლოს წინაშე, თუ ამას არ შევასრულებთ“ (4.2.93). ხოლო პარლამენტის იგნორირება ბ-ნ შევარდნაძეს ხალხის იგნორირებად მიაჩნდა: „პარლამენტი ეს არის დემოკრატიული განვითარების გზა. ნურავინ შეეცდება, რომ შეგვაბრუნოს ამ გზიდან, ვერავინ ვერ შესძლებს ამას, ვერც ერთი კაცი, რა თანამდებობაც უნდა ჰქონდეს და როგორი გიგანტური გავლენაც უნდა ჰქონდეს“ (27.4.93.) ფრიად სამწუხაროა, რომ პარლამენტის იგნორირება ბატონმა შევარდნაძემ შესძლო, როცა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ ბატონ ჯ. იოსელიანს 14 მაისის კაბალურ შეთანხმებაზე ხელმოწერის დასტური მისცა.

დეკლარირებული სტრატეგიული მიზნების ჩარჩოებში ეტეოდა რუსეთის სავალუტო სივრცეში შესვლის მიუღებლობა — ამ სივრცეს სხვა სივრცეები მოჰყვებოო, ნაზარბაევის ამ მიმართულებით მცდელობას საკმაოდ მკვახე შეფასება მისცა — ეს რუსეთთან ჩახუტების პოლიტიკაოო. „უნდა გავაკეთოთ არჩევანი, ჩვენ ვიაროთ რეალური დამოუკიდებლობის მიღების გზით, განსაკუთრებით იმ პირობებში და იმ მოვლენების ფონზე, რაც ახლა რუსეთში ხდება (25.3.93)“.

სტრატეგიული ხაზის სრულიად არაადეკვატური იყო იმდროინდელი ტაქტიკური ნაბიჯები. პარლამენტის არჩევნებამდე (დაგომისი, 3 სექტემბერი), შემდეგ კი ნახევარი წელიწადი რუსეთთან ორმხრივი უშუალო ურთიერთობების ლოზუნგით (СНГ-ს „მრავალმხრივი“ ურთიერთობების თითქოსდა საპირისპიროდ, მიმდინარეობდა არსებითად СНГ-ს პრინციპებზე აგებული სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური ხელშეკრულებების დადების მცდელობა. ყალიბდებოდა რუსული სივრცე ფორმულით СНГ+საქართველო. ეს კონტაქტები იყო არა СНГ-ს ალტერნატივა, არამედ СНГ-საკენ გადადგმული ნაბიჯები. მითუმეტეს, რომ რუსეთი სულ უფრო დიდ წარმატებებს აღწევდა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში და შუა გზაზე გაჩერებას სულაც არ აპირებდა. რუსეთ-საქართველოს ორმხრივი კაბალური ხელშეკრულებების პროექტების მხარდაჭერით, ჩვენი პოლიტიკური ძალების ერთი ნაწილი, რუსეთის საქართველოში დარჩენა — დამკვიდრების ხელსაყრელ ფონს ქმნიდა უნებლიედ და შევარდნაძისაგან მათი ნაგვიანები ჩამოცილება, СНГ-ში შესვლის საკმარისი და გააფთრებული წინააღმდეგობა აღარ აღმოჩნდა საკმარისი მოძალადის ყულფში თავის გაყოფის აცილებისათვის. არას ვლაპარაკობ იმ ძალებზე, ვინც საქართველოს პერსპექტივაშიც რუსულ სივრცეში მოიაზრებს. იმ დროს ბატონი ნ.ნათაძე სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად რომაული ტრადიციისამებრ შევარდნაძეს გარკვეული ვადით დიქტატორობასაც კი სთავაზობდა. იმავე პერიოდს განეკუთვნება ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წინადადება ხელისუფლების რეორგანიზაციის შესახებ. ჩვენ მოვითხოვდით, 1. გადამდგარიყო მინისტრთა კაბინეტი სრული შემადგენლობით; 2. შეჩერებულიყო თავდაცვის საბჭოს მუშაობა; სახელმწიფოს მეთაურს თავად და უშუალოდ ეხელმძღვანელა სტრატეგიულად რეორგანიზებული მინისტრთა კაბინეტისადმი. ბ-ნი შევარდნაძე ყველაფრის ხელმძღვანელი იყო და პასუხს არაფერზე აგებდა. სახელმწიფოს მეთაურის, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის ფარი პრემიერი იყო, მთავარსარდლისა და თავდაცვის საბჭოს თავ-მჯდომარეს წარუმატებლობებზე თავდაცვის მინისტრი აგებდა პასუხს. პარლამენტის უვარგისობა სპიკერს ბრალდებოდა და არა თავმჯდომარეს. ჩვენ შევთავაზეთ მობილური სტრუქტურის შექმნა, სადაც იგი უფლებების გარდა მოვალეობებითაც იქნებოდა პასუხისმგებელი ქვეყნის და პარლამენტის წინაშე. თუ ბ-ნი შევარდნაძე უშუალოდ თავს გაართმევდა ქვეყნის ხელმძღვანელობას, ეს ერისა და სახელმწიფოს წარმატება იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში — იგი ვერავის გადააბრალებდა წარუმატებლობას.ამ შემთხვევაში ხელისუფლებაში მისთვის სხვა ადგილი უნდა მოძებნილიყო, ან საერთოდ გაცლოდა ხელისუფლებას. ეს იყო ღია, ჯენტლმენური წინადადება. აი, მისი პასუხი: „... სამი თვეა ვცოდვილობ, მინდა წარმოვადგინო ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამა. აპარატში მოვიყვანეთ მრჩევლები; ეკონომისტებიც არიან, ფინანსისტებიც, ფიზიკოსებიც, ფსიქოლოგებიც, 15-20 კაცი, მოაზროვნე ხალხი, სერიოზული, მათთან ერთად ვზივარ და ვიჭყლეტ ტვინს, ვერაფერი ვერ მოვიგონეთ ისეთი,რომ შემოგთავაზოთ რეალური პროგრამა კრიზისიდან გამოსვლისა. ახლა გნებავთ, მინისტრთა კაბინეტი ჩამაბარეთ, გნებავთ, კიდევ რაღაც ახალი, იმის მეტს, რასაც ახლა ვაკეთებ, ჯერჯერობით იმაზე მეტის გაკეთება მე არ შემიძლია“. კომენტარისაგან თავს შევიკავებ.

„... მოვა დრო, ეს სტრუქტურა იქნება არქაული, დრომოჭმული, მაგრამ დღეს ეს სტრუქტურაა... სხვა გამოსავალი არ არის“ (22.4.93). როგორც ჩანს, ეს დრო ჯერაც არ დამდგარა. დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო რომ საბჭოთა სახელისუფლებო და ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილებებს მოითხოვდა, აშკარაა, მაგრამ ეს მარტივი ამოცანაც კი დაუძლეველი აღმოჩნდა მისთვის. აქაც დეკლარირებული დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამდა, უფრო სწორად, ჯიუტად ტკეპნიდა ადგილს.

6 მაისს ჩვენი წინადადებების ნაწილი ბ-მა შევარდნაძემ გაიზიარა. შეაჩერა თავდაცვის საბჭოს მუშაობა (ანუ, ბ-ნი ჯ. იოსელიანი, იქ მისი მოადგილე, ფორმალურად მხოლოდ რიგით დეპუტატად დარჩა. გვახსოვს, ალბათ, მაშინ სახელმწიფოს მეთაურმა და პარლამენტმა მხურვალე მადლობა გადაუხადა მას გადატრიალების პირველ დღესვე ნათქვამი სიტყვის ნაგვიანები შესრულებისათვის. გათავისუფლდა ბ-ნი კიტოვანი. გამოჩნდა კონტურები მთავრობის მეთაურის და არა არსებითად მთავრობის პერსონალური შემადგენლობისა თუ სტრუქტურების ცვლილებისა. ეს უკვე ტექნიკის საქმე იყო და ზაფხულში იგი განხორციელდა. ფაქტიურად მაშინ დაიწყო და რამდენიმე თვეში დასრულდა შევარდნაძე, სიგუა, კიტოვან-იოსელიანის ეკლექტური ხელისუფლების შეცვლა შევარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლებით. ბ-ნ ფაცაციას გაპრემიერებას ბუნებრივია, რაიმე კორექტივი არ შეუტანია.

1993 წ. მარტში მოპოვებული სამხედრო უპირატესობის გაღრმავების ნაცვლად სახელმწიფოს მეთაურმა 1993 წ. 14 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერა აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი დარეგულირების მორიგ დოკუმენტს, როგორც ყველა მანამდელი, ისე შემდგომი დაზავება ცალმხრივი განიარაღებით აღინიშნა და მას მოწინააღმდეგის ძალების მოკრება, სოხუმის დაბომბვები, შემდეგ 27 ივლისის კაპიტულაცია და ბოლოს 27 სექტემბრის კატასტროფა მოჰყვა.

პირობითად სწორედ 1993 წ. 14 მაისი შეგვიძლია მივიჩნიოთ სახელმწიფოს მეთაურის დეკლარირებული სტრატეგიული ამოცანის — რუსეთის სივრციდან საქართველოს გამოყვანის მცდელობის დასაბამად. ამასთანავე ამ ამოცანის სრულიად არაადეკვატური, მისი საპირისპირო ტაქტიკური ნაბიჯების შედეგად თავადვე განსაზღვრა ეს კრახი. არ ღირს მსჯელობა იმაზე, ეს წინასწარგანზრახული იყო თუ უკიდურესი პოლიტიკური არაკომპეტენტურობის შედეგი, პირადად ჩემი აზრით, ეს პოლიტიკური კრახი უფროა.

ჩვენ წინ კიდევ ერთი შავბნელი 14 მაისი გველოდა თურმე. ბედის ირონიით ქართული სახელმწიფოებრიობის აპოგეის სიმბოლო — თამართან ერთად, რომლის სახელსაც თაობები სწორედ ამ დღეს იხსენებდნენ, ამიერიდან სახელმწიფოებრიობის დაკარგვის (იმედი მაქვს, უნაყოფო) მცდელობასთან დაკავშირებულ სახელებსაც გაიხსენებენ, ისინიც კარგა ხანს დარჩებიან ერის მეხსიერებაში.

გაგრძელება მე 6 გვ.

...მაშინ რაღას ვერჩით მხოლოდ ასლან აბაშიძეს?..

ღია წერილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო სახელმწიფოს მეთაურო!

კარგად მესმის, რომ ქვეყნის ხელმძღვანელთან საჯაროდ გასაუბრება დიდ და ამავე დროს მძიმე პასუხისმგებლობას მაკისრებს. მაგრამ დადგა დრო, როცა დუმილი დანაშაულის ტოლფასია.

წერილის სპეციფიკურობის გამო, არ შეუდგებით ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების ანალიზს, თუმცა ჩვენი განსჯის საგნად ქცეული მთავარი საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული ამ მიზეზებთან. ჩემი განსჯის საგანი კი ბოლო სამი წლის განმავლობაში აჭარაში მიმდინარე პროცესები და უშუალოდ ამ მოვლენებთან თქვენი დამოკიდებულებაა. აქვე აღვნიშნავ, რომ საყოველთაოდაა ცნობილი თქვენი უალრესად კეთილი განწყობილება აჭარისა და მისი მოსახლეობისადმი, რაც ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელად ყოფნისას გამჟღავნდა. ამგვარმა განწყობამ კი ბევრი სიკეთე მოუტანა აჭარას, რაც ახლაც ახსოვთ აჭარის მცხოვრებთ.

ქვეყნის სათავეში მეორედ მოსვლის შემდეგ, ძველი ხელისუფლებიდან არსებითად მხოლოდ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე — ასლან აბაშიძე დაგხვდათ. სწორედ ის ასლან აბაშიძე, რომელიც ძველმა ხელისუფლებამ კონსტიტუციის უხეში დარღვევითა და კანონის გათელვით ჯერ დანიშნა, ხოლო შემდეგ აირჩია აჭარის უ.ს. თავმჯდომარედ. დროის ამ შუალედში კი ასლან აბაშიძემ აჭარის უ.ს. თავმჯდომარედ დანიშვნიდან 44-ე დღეს ბათუმში დიდი ანტიქართული მიტინგის ჩატარება მოასწრო.

ვიდრე ახალი არჩევნები ჩატარდებოდა, გასაგები იყო თქვენი ლოიალობა აჭარის უ.ს. თავმჯდომარის საქმიანობისადმი. თუმცა, იმ დროსაც თქვენმა ერთმა სტუმრობამ აჭარაში მაშინვე გამოიღო შედეგი: რამდენიმე თვის წინათ შეჩერებულმა აჭარის უ.ს. სესიამ მუშაობა განაახლა და მის პირველსავე სხდომაზე ცხადი გახდა ასლან აბაშიძისა და მისი გარემოცვის უსუსურობა საპარლამენტო საქმიანობაში. ამის კომპენსაცია კი ასლან აბაშიძემ აჭარის უ.ს. ფაქტობრივი გარეკვით მოახერხა.

1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარებული საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების შედეგად ასლან აბაშიძე პარლამენტის წევრი გახდა და ამასთან, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის უ.ს. თავმჯდომარე ავტომატურად პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედაც იქნა არჩეული. ორი წელია, რაც ფუნქციონირებს საქართველოს პარლამენტი, თუმცა მის ერთ-ერთ ხელმძღვანელს — ასლან აბაშიძეს ერთხელაც არ მიუღია მონაწილეობა მის მუშაობაში და საერთოდაც არ ჩამოსულა თბილისში. სამაგიეროდ, ამ ხნის განმავლობაში თვლა არ ჰქონდა მის ვოიაჟებს ევროპასა და რუსეთში.

აღნიშნულის მიუხედავად, თქვენ — ბატონო სახელმწიფოს მეთაურო, ამის თაობაზე საჯაროდ არაფერი გითქვამთ და ამასთან, საჭიროების შემთხვევაში იქით ეწვეოდით ხოლმე რეგიონის თავკერძა ხელმძღვანელს. ამა წლის გაზაფხულზე ბათუმში ყოფნისას კი დატოვეთ ჩანაწერი, სადაც ერთმანეთთან იყო გაიგივებული აჭარა და... ასლან აბაშიძე, რითაც ხაზი გადაუსვით იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რის თანახმადაც ყოვლად გაუმართლებელია ქვეყნისა თუ რეგიონის გაიგივება პიროვნებასთან, ვინც არ უნდა იყოს იგი. ეს ჩანაწერი მარჯვედ იქნა გამოყენებული — მოხდა მისი ფაბრიკა, რეკლამირება, რამაც კიდევ უფრო გაუხსნა ხელფეხი თავკერძა ხელმძღვანელსა და მის გარემოცვას.

სულ ახლახან კი — 29 ოქტომბერს ბათუმში მორიგი ვიზიტისას ბოლომდე მოიწონეთ აჭარის ხელისუფლების კურსი, მისი ხელმძღვანელის საქმიანობა კი სანიმუშოდ მიიჩნიეთ. სანამ დღევანდელ ვითარებაზე ვიტყოდეთ რაიმეს, მანამ კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი აჭარის უ.ს. თავმჯდომარის ქმედებებს, რაზეც არაერთხელ თქმულა და დაწერილა კიდეც:

გენერალ პავლე გრაჩოვის აღმაშფოთებელი განცხადებისადმი თქვენი უარყოფითი დამოკიდებულება და ამ დროს მისი ტრიუმფალური მიღება აჭარის უ.ს. თავმჯდომარის მიერ;

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში თქვენი და ასლან აბაშიძის შეხვედრა ერთი ერთზე /?!/;

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის — ასლან აბაშიძის თბილი და მეგობრული დამოკიდებულება ანტისამთავრობო ძალების მეთაურთან, ამ უკანასკნელის ვიზიტები ბათუმში და მისი გამოსვლები აჭარის ტელევიზიით, ვითარცა ეროვნული გმირისა;

ასლან აბაშიძის ნეიტრალური პოზიცია აფხაზეთის ომში;

მასობრივი დაპატიმრებანი ბათუმში გასული წლის ოქტომბრის თვეში დეპუტატის სტატუსის ხელყოფით;

„დაგვიანებული" მიმართვა ექსპრეზიდენტისადმი, როცა უოფილი ხელისუფლების მომხრე საჯარისო ფორმირებები უკვე ტყეში იყვნენ გახიზნული;

რამდენიმე უსაფუძვლო განგაშის ატეხა აჭარაში შეიარაღებული ფორმირებების მოსალოდნელ შეჭრაზე, რომელთაგან არც ერთი არ დადასტურდა;

აჭარის უ.ს. თავმჯდომარის ერთგული საინფორმაციო საშუალებით კონფრონტაციის ტენდენციების გამუდმებული პროპაგანდა (თათრობის ნიშნით აჭარელთა გამორეკვის, დანარჩენი საქართველოს რაიონებიდან ცრუინფორმაციის გავრცელება, მთელს საქართველოში ნგრევის ფაქტორის პროპაგანდა და სხვ.) და ა.შ.

დღესაც აჭარის უ.ს. თავმჯდომარეს კურსი არ შეუცვლია. იგი საქართველოს ხელისუფლების, ქართველი მეცნიერებისა და სპეციალისტების გვერდის ავლით, უცხოურ ფირმებთან თანამშრომლობით, ბათუმის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადებისათვის „იბრძვის შეუპოვრად. ამასთან აჭარის უ.ს.თავმჯდომარე, მისი გარემოცვა და ერთგული საინფორმაციო საშუალებები ქართველ მოსახლეობას თვალში ნაცარს აყრიან. აი ამის ორი გახმაურებული მაგალითი:

ერთ წელზე მეტია ჩვენი საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან ხიდების მშენებლობის რუმზე აჭარაში, რომელთა რიცხვმა გასული წლის მიწურულს 140-ს მიაღწია, შემდეგ 128-ზე ჩამოვიდა, ხოლო სულ ახლახან უკვე 123-ით განისაზღვრა. განა რომელიმე ნორმალური ადამიანი დაიჯერებს,რომ 1,5-2 წლის განმავლობაში ერთ პატარა კუთხეში ამ რაოდენობის ხიდების აშენება შეიძლება. გავიხსენოთ როგორი პლომბით გადაიცემა ცნობა გაერო-ს მიერ 250000 დოლარის დაპირებაზე ნატანებში ერთი სარკინიგზო ხიდის მშენებლობისათვის. როგორია ამის ფონზე ეს გაუთავებელი ცრუპენტელობა 140, 128 თუ 123 აშენებულ ხიდზე აჭარაში?

გაგრძელება მე-6 გვ.

ინტერვიუ

რას შეიძლება ველოდოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ვიზიტიდან, რა შედეგებს მოიტანს ეს ვიზიტი აფხაზეთის პრობლემის გადასაჭრელად? ეს კითხვა დღეს ყველა ქართველს აწუხებს. ჩვენი კორესპონდენტი ამ საკითხებზე ესაუბრა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზის ხელმძღვანელს, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს ნოდარ ნათაძეს.

ნოდარ ნათაძე:

ცუდი მშვიდობა ნიშნავს ომს მომავალ თაობებში

— ბატონო ნოდარ, თქვენ შეხვდით გაეროს გენერალურ მდივანს ბ-ნ ბუტროს ბუტროს ღალის. ალბათ თქვენი საუბრის ძირითადი თემა აფხაზეთის პრობლემას შეეხო. რას გვეტყვით ამის შესახებ?

—როგორც გავიგე თამაზ გამყრელიძის გამოსვლიდან, ქართულად უნდა წარმოვთქვათ არა გალი, არამედ ღალი. მე მას ვუსმინე ორჯერ. დილას — აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში და საღამოს — მთავრობის შენობაში. დილას ბ-ნმა ღალიმ ბევრი ილაპარაკა გაეროს სისუსტეზე. წევრ სახელმწიფოებს გაეროს დიდი ვალი აქვს. გაეროსაც თავის მხრივ დიდი ვალი აქვს წევრ სახელმწიფოებისა მათ მიერ გაწეული გარჯისათვის. გაეროს უჭირს საჭირო შემთხვევაში შეიარაღებული ძალის მოკრებაც და დასაქმებული შეიარაღებული ძალის დაკავებაც. აფხაზეთის თემასთან დაკავშირებით მე პირადად ძალიან მძიმე შთაბეჭდილება გამომყვა. ჩემთვის საინტერესო იყო იმის მოსმენა (კითხვათა პასუხებში), რომ რუსეთისათვის სამოქმედო მანდატის მიცემა გაეროს მიერ არ ნიშნავს რუსეთის მიუდგომლობის რწმენას.

საღამოს ბ-ნ ბუტროს ღალის ვუსმინე მინისტრთა კაბინეტში, სადაც იგი შეხვდა პარლამენტარებს. ერთსაათიანი შეხვედრის დიდი ნაწილი დაეთმო ორატორის მიერ ჩვენს ინფორმირებას გაეროს მუშაობაზე და დღევანდელი ვითარების სოციალურ პრობლემებს. საკუთრივ დიალოგი-

გაგრძელება მე-4 გვ.

ეროვნული იდეოლოგიის სათავეებთან

ტურფა საქართველო ყორნებს ნაულიათ ...

ეროვნული იდეოლოგიის ხსენებაზე ზოგს ალერგია ემართება, ზოგსაც ელეთ-მელეთი მოსდის; იგი ზოგისათვის ყველაფერია, ზოგისთვის კი საერთოდ არაფერი.

დღეს საქართველოს ეროვნული იდეოლოგია არ გააჩნია და, ჩვენი აზრით, სწორედ ესეცაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახლანდელი გათიშულობის, დაქსაქსულობისა და დაპირისპირებისა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

არ გაგვაჩნია ეროვნული იდეოლოგია — ისეთი ორიენტირი, რომელიც ერთ მუშტად გააერთიანებდა და შეკრავდა ამერ-იმერს, მთელს საქართველოს — აი, ისე, როგორც ცხრა ამრიალის დღეებში იყო.

დღევანდელი ხელისუფლებისათვის ეროვნული იდეოლოგია დემოკრატიაა. ეს დაახლოებით ისეთივე რამეა, როგორც თავის დროზე სოციალიზმის მშენებლობა იყო — ზოგადი და გარყვნებული.

ყველა ნორმალურ თუ არანორმალურ სახელმწიფოს თავისი ეროვნული იდეოლოგია გააჩნია, ყოველშემთხვევაში ცდილობს ჰქონდეს, რომელზედაც აშენებს სწორედ დემოკრატიას.

მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო. ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოები, როგორიცაა ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი... შენდებიდა საკუთარი ეროვნული იდეოლოგიების საფუძველზე.

დღევანდელი რუსეთისათვის კვლავ ძალაშია „მესამე რიმის" იმპერიული რწმენა და ამის საფუძველზე, ფარულად თუ აშკარად, ცდილობს ახალი — დემოკრატიული მოდელის სახელმწიფოს აშენებას.

ჩვენმა ისტორიულმა მეზობლებმა სომხებმა თავიანთი ეროვნული იდეოლოგიის ქვაკუთხედად ილუზორული „დიდი სომხეთის" იდეა გაიხადეს. სწორედ ამის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ყარაბაღის კონფლიქტი და ქართულ შავიზღვისპირეთში მშვიდობიან ანეკსიასთან ერთად სამხედრო მეთოდის გამოყენება, რასაც კვლავ ჯიუტად აგრძელებენ.

ხოლო ჩვენმა ისტორიულმა ხიზნებმა აფსუებმა და ოსებმა თავიანთი ეროვნული იდეოლოგიები საქართველოს მიწა-წყალზე მათს არარსებულ

გაგრძელება მე-4 გვ.

მესამე გვერდიდან

სთვის, მხოლოდ 15 წუთი დარჩა. არ დაგიმალავთ, მე ამ ფაქტში შეხვედრის ორგანიზატორთა არც თუ ძალიან კეთილ ტენდენციურობას ვხედავ.

— რა აზრისაა ბ-ნი ბუტროს ბუტროს ღალი ლტოლვილთა დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით?

—ბ-ნ ბრუნერისა და ბ-ნ ღალის საუბრის მოსმენიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ განზრახულია (დაგეგმილია) ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის გადადება საქართველოს რესპუბლიკის შიგნით აფხაზეთის სტატუსის საკითხის გადაწყვეტამდე. თავისთავად სიტყვები, — საქართველოს შიგნით არ შეიცავს სრულ ინფორმაციას გეგმის რაობაზე. არსებობს მკვეთრი მიჯნა ჩვენთვის მისაღებ და ჩვენთვის მიუღებელ გადაწყვეტილებებს შორის. სახელდობრ, თუ სტატუსი ისე განისაზღვრა, რომ აფხაზ მხარეს საშუალება ექნება თბილისიდან კონტროლის გარეშე არეგულიროს ჩასახლება-არჩასახლების პროცესები, აფხაზეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილად იქცევა ორმოცდაათი ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურის ოჯახი, თურქეთიდან ჩამოსული მუხაჯირები, კაზაკები, სომხები, აგრეთვე ყაბარდოელები და ადიღეელები, რომლებთანაც აფხაზებს ადვილად შეუძლიათ ეთნიკური და ეროვნული თვითიდენტიფიკაცია. ეს ჩვენი საბოლოო მარცხი იქნება. დემოგრაფიული პროცესების რეგულირება თუ პირიქით, რეალურად დაექვემდებარება თბილისის კონტროლს, მაშინ სხვა პირობათა ხელსაყრელობის შემთხვევაში შეთანხმება შეიძლება. ამ თეზისთან დაკავშირებით ბ-ნმა ბუტროს ღალიმ განაცხადა, რომ ემიგრაციის პროცესები ექვემდებარება ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს.

რომ შევაჯამოთ, ჩემი შთაბეჭდილება ძირითადად მძიმეა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარლამენტი მტკიცედ დადგეს და გაიტანოს შემდეგი:

1. არავითარ შემთხვევაში ჟენევაში მოლაპარაკებისას, რომელიც გაიმართება 11 ნოემბერს, არ უნდა გაიგზავნოს ის უსუსური და ყოვლად შეუფერებელი დელეგაცია, რომლებმაც აქამდე წაგვაგებინა ყველა მოლაპარაკება და სამხედრო დამარცხების ტოლი პოლიტიკური დამარცხება გვაგემა: იოსელიანი, კავსაძე, მაჭავარიანი და ა.შ.

2. დელეგაციის დაკომპლექტება უნდა მოხდეს არა სახელმწიფო მეთაურის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით (რომლის ნაყოფიერება აქამდე ვიხილეთ), არამედ მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.

3. და მთავარი, პარლამენტის დახურულ სხდომაზე უნდა განისაზღვროს, რა პირობით შეგვიძლია შეთანხმებაზე წასვლა და რა პირობით არ შეგვიძლია. ამას თუ არ მივაღწევთ, პარლამენტი კიდევ ერთხელ ჩაიდენს საქართველოს წინაშე დალატს.

ცუდი მშვიდობა ნიშნავს ომს მომავალ თაობებში. დღეს, საქართველოს აფხაზეთში დე ფაქტო ყველაფერი დაკარგული აქვს. ხიფათი ემუქრება დე იურეს, ანუ ჩვენს იურიდიულ პოზიციას (მოწინააღმდეგესთან მიმართებაში). ჩვენ არ გვაქვს უფლება ეს პოზიცია დავთმოთ. ცუდი მშვიდობის მოსაპოვებლად არ ღირს იურიდიულ დათმობებზე წასვლა, რომელთა შედეგების ზღვევაც ჩვენს მომდევნო თაობებს მოუხდებათ თავისი სისხლით. უნდა ვიყოთ ფხიზლად, ამავე დროს მტკიცედ!

— როგორ გგონიათ, რამდენად მიუღგომელი მსაჯულია ბ-ნი ბუტროს ბუტროს ღალი (და საერთოდ გაერო) აფხაზეთის პრობლემის სამართლებრივ გადაწყვეტაში?

—ბ-ნმა ბუტროს ღალიმ კითხვაზე პასუხში ბრძანა, რომ იგი მუდმივად ეთათბირება რუსეთის მუდმივ წარმომადგენლებს გაეროში და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ეს ბუნებრივია.

საინტერესო ის არის, რომ ბ-ნი ბუტროს ღალი კვლავ რჩება იმის მოწინააღმდეგედ, რომ მეზობლის შინაგან საქმეებში არბიტრად მეზობელი გამოვიდეს ან სამშვიდობო ძალები ერთი ქვეყნისანი იყვნენ. ამიტომ ჩემი შთაბეჭდილებით, იგი რუსეთის დღევანდელ ერთპიროვნულ „სამშვიდობო ჩარევას“ ჩვენს საქმეში დროებითად მიიჩნევს. საინტერესო კიდევ ის არის, რომ განვითარების ტენდენცია მაინც რუსეთის ესოდენ დიდი როლის შეზღუდვისკენ მიდის. არ ვგულისხმობ, მხოლოდ იმ გარემოებას, რომ უშიშროების საბჭოს ალბათ მალე შეემატება ორი ახალი მუდმივი წევრი: გერმანია და იაპონია.

— თქვენ რეგიონალურ, გაერო კმაყოფილია რუსეთის სამშვიდობო მისიით საქართველოში? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გაერო და რუსეთი შეთანხმებულადაც კი მოქმედებენ?

—კმაყოფილებაზე და უკმაყოფილებაზე ბ-ნ ბუტროს ღალის არაფერი უთქვამს. რაც შეეხება შეთანხმებას მათ შორის, არაფერი ვიცი, მაგრამ ქართული დელეგაციის პოზიცია რომ უცნაურად ემთხვევა რუსეთის სურვილებს, ამას კი ვხედავ.

— აფხაზეთის ხელმძღვანელობა მიილტვის კოდორის ხეობა დაიცალოს ქართველებისაგან. რას ფიქრობს გაერო ამ საკითხთან დაკავშირებით?

—იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, თუ რას ფიქრობს გაერო, ისაა, თუ რას ფიქრობდა საქართველოს დელეგაცია, როდესაც იკისრა საქართველოს ზურგს უკან ვალდებულება, რომ აფხაზეთის ტერიტორიიდან გამოყვანილი ყოფილიყო საქართველოს სამხედრო ძალა. რასაც არ მოვითხოვთ, იმას არც არავინ მოგვცემს და რასაც არ დავიჩივლებთ, იმაში არც არავინ გაგვიწევს თანაგრძნობას.

— გმადლობთ.

ესაუბრა
ქეთი დავლიანიძე

ნოდარ ნათაძე:

ცუდი მშვიდობა ნიშნავს ომს მომავალ თაობებში

პოლემიკა

საქართველო მომავალი თაობების დასაბრუნებელია?

25 ოქტომბრის გაზეთ „მოქალაქეში“ გამოქვეყნდა ბატონ მიხეილ დარჩიას მეტად საყურადღებო წერილი „ბეწვის ხიდზე“. მასში განხილულია რუსეთის სადაზვერვო სამსახურის უფროსის ევგენი პრიმაკოვის ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლის შინაარსი, რაც უშუალოდ ეხებოდა რუსეთის სტრატეგიულ ინტერ ებს ე.წ. „ახლო საზღვარგარეთში“ ანუ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში. პრიმაკოვს ამ კონფერენციაზე არ დაუმალავს, რომ რუსეთს სურს აღნიშნულ ტერიტორიაზე შექმნას „ერთიანი ეკონომიკური და სამხედრო სტრატეგიული სივრცე“ ანუ „დემოკრატიული ფედერაციული სახელმწიფო“. რუსეთის დაზვერვის შეფს პირდაპირ განუცხადებია — „ან რეინტეგრაციული პროცესი წარმატებით განვითარდება, რაც გამოიწვევს საერთო ვითარების სტაბილიზაციას, ტექნიკური კონფლიქტების შეწყვეტას, ეკონომიკურ აღმავლობას, ან დასავლეთის მცდელობა მხარი დაუჭიროს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში სეპარატისტულად განწყობილ ძალებს წარმატებით დაგვირგვინდება და ეერაზიის კონტინენტი იქცევა მუდმივი არასტაბილურობის ზონად“. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. თუ აქამდე რუსეთის სახელმწიფო მოხელენი ფარული ინტონაციით ბედავდნენ თავიანთი ზრახვების წარმოჩენას, აღნიშნული სიტყვებით პრიმაკოვი აშკარად აცხადებს რუსეთის ნეოიმპერიულ, ექსპანსიონისტურ ჩანაფიქრს. ამ სიტყვებით მთლიანად ქარწყლდება მითი „დემოკრატიული რუსეთის“ არსებობის შესახებ, რადგან ეს პიროვნება რუსეთის პრეზიდენტის „კამანდის“ ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო მოხელეა და როგორც სახელმწიფო დაზვერვის შეფი, პრეზიდენტ ელცინის ყველაზე დაახლოებული პირია.

ბატონი მიხეილ დარჩია კითხულობს — მოსკოვს ეს ახალი ტაქტიკა რას უქადის საქართველოსო და ცდილობს თავის წერილში არ გამოამჟღავნოს საკუთარი პოზიცია, დასმულ პრობლემებზე თითქოს ზოგადად მსჯელობს და რიტორიკულ შეკითხვებსაც სვამს. მაგრამ მის ფრაზებში გაკეთებული აქცენტებით მაინც მეჭავნდება ის ჩამოყალიბებული პოზიცია, რასაც შეიძლება ვუწოდოთ რუსეთის იმპერიულ ინსტიტუტებზე დამორჩილება უფრო დიდი უბედურების თავიდან აცილების მიზნით. თავად განსაკუთ. ავტორი უშვებს ალტერნატივას, რომ შესაძლოა დასავლეთი შეეცადოს თავის ინტერესებიდან გამომდინარე განამტკიცოს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა. მაგრამ რამდენად შესწევს ძალა შეინარჩუნოს საქართველოს სუვერენიტეტი. „დასავლეთმა შეიძლება სცადოს რუსეთის გარემოში არასტაბილურობის სარტყელის შენარჩუნება, მაგრამ ამგვარი „პეთოდი“ რამდენ სისხლსა და უბედურებას მოუტანს კიდევ საქართველოსო“.

ნიშნავს თუ არა ეს სისხლისა და უბედურების თავიდან აცილების მიზნით ქვეყნის სუვერენიტეტზე ანუ დამოუკიდებლობაზე უბრძოლველად ხელის აღების პოზიციაზე დგომას? გასაგებია, რომ რუსეთი მართლაც ველური დათვია, რომელსაც ამ ბოლო დროს, თუმცა მისუსტებული, მაგრამ მაინც სახიფათო ტორები გააჩნია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა რისკისა და მსხვერპლის გარეშე არ არსებობს. ჩვენი ისტორიული წარსულის არგუმენტაციას რომ თავი გავანებოთ, რაც ბევრ იქვეს პოზიციაზე მდგომ კაცს არარეალურობად და უგულებელად მაჩნია, რა ეუყოთ ხვა ერების თავისუფლებისათვის ბრძოლის უახლოეს გამოცდილებას და ამჟამინდელ შეხედულებასაც? რომ არაფერი ვთქვათ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პრინციპულ და უშიშარ ბრძოლაზე ჯერ კიდევ სსრკ-ს მძლავრ იმპერიულ მანქანასთან (მარტო კრემლის მიერ ლიტვის რამდენიმეთვიანი ბლოკადა რად ღირს, ან ვილნიუსის ტელეცენტრთან შიშველი ხელებით რუსეთის დამსჯელ რაზმთან დიდი მსხვერპლით დამთავრებული სისხლიანი შეტაკება) ამჟამინდელ ფაქტებს სად გავექცევით? რუსეთის მე-14 არმიით დაჩაგრული მოლდოვას რესპუბლიკა განა შეუპოვრად არ ითხოვს რუსეთის ჯარების გაწვევას მოლდავეთიდან? რაც უკანასკნელი ,მოლაპარაკებებით რეალური გადაწყვეტის ფაზაში შევიდა. ან ჩვენი მეზობლისაზერბაიჯანის რესპუბლიკის მაგალითი მოვიყვანოთ. მიუხედავად მის წინააღმდეგ რუსეთის მიერ სამხედრო თვალსაზრისით მომძლავრებული სომხეთის არმიის დაპირისპირებისა, აზერბაიჯანი მაინც არ თმობს პოზიციებს .და კბილებით იცავს საკუთარ სუვერენიტეტს, არც რუსის ჯარს აჭაჭანებს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და არც თავის სიმდიდრეში,რაც ნავთობის მარაგის სახით არსებობს, აყოფინებს რუსეთს თავის ხარბ დინგს. ჩეჩენი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა კი ლეგენდარულ სახეს იღებს. ხომ ფაქტია, რომ რუსეთმა ვერაფერი მოუხერხა ამ მარილაც შეუპოვარ ხალხს და ახლა ჩეჩნეთზე შემოვლით ,ოკინიგზა გაჭყავს, რომ იქნებ ეკონომიკური ბლოკადით მოაღრჩოს ეს ურჩი რესპუბლიკა.

შემდეგ ბატონი მიხეილი თავის წერილში უფრო ამწკაცებს მდგომარეობას და მოსალოდნელ მეორე ალტერნატივას აღწერს. იმ შემთხვევაში თუ დასავლეთი რუსეთის რეინტეგრაციულ პროცესს ხელს არ შეუშლის, მაშინ საქართველო უნდა დაუპირისპირდეს გლობალურ რეალობას და იცუროს „დინების საპირისპიროდო“ ან „გამონახოს მისთვის მისაღები და სასარგებლო ფორმა ამ პროცესში აქტიური მონაწილეობისა“. ხაზს კუსვამ სიტყვებს „მისაღები“ და „სასარგებლო“. თუ რუსეთის იმპერიაში შთანთქმა ანუ ეგრეთწოდებული რეინტეგრაციის პროცესი ბატონ მიხეილს მიაჩნია საქართველოსთვის მისაღებად და სასარგებლოდ, რაღაზე უნდა ვილაპარაკო. რუსეთთან დაახლოებისა და ყბადაღებული კომპრომისების პოლიტიკამ, რაც იმ ავადსახსენებელ ხელშეკრულებებში მეღავნდებოდა, აფხაზეთი და სამაჩაბლო ხომ ფაქტია, მთლიანად მოსწყვიტა საქართველოს. ნუთუ ეს გვეცოტავება? კი ბატონო, მიართვით ხელფეხშეკრული საქართველო ერთიანად გაუმაძღარ დათვს, მაგრამ რა პასუხს გასცემთ მომავალ თაობას? თუ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურივით აღნიშნავთ, თუმცა მან ეს ფრაზა აფხაზეთზე წარმოთქვა, თქვენ კი მთელ საქართველოზე იტყვით, რომ საქართველო მომავალი თაობების დასაბრუნებელია.

გია თვალავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდ ამბებს ვხედავთ...

მეორე გვერდიდან

რაკი ბ-მა შევარდნაძემ და მისმა მომხრეებმა კურსი ღიად რუსეთისაკენ აიღეს (ვთქვათ, ბ-ნ ჭაბუასათვის არ შეუშლია ხელი არც СНГ-სადმი უკიდურეს ნეგატიურ დამოკიდებულებას 1992 წ. იანვარში ან გრაჩოვის თბილისის მერიის თავზე ჩამოხრჩობის სურვილსა და მუჭარას 1993 წ. ივლისში) მათ ფორსირებულად დაიწყეს სუვერენიტეტის გასხვისების მარათონი, თუმცა რუსეთი მათთვისაც კი, როგორც ჩანს, სიურპრიზების მოყვარული პარტნიორი აღმოჩნდა. ყოველი დათმობის მერე, როცა ჩვენი ხელმძღვანელები ამას მტკივნეულ, მაგრამ სამაგიეროდ საბოლოო კომპრომისად მიიჩნევდნენ, რუსები უფრო მეტს ითხოვდნენ. აფხაზეთის წართმევის შემდეგ, ბ-ნი ნ. ნათაძის ძველი პოლიტიკური ტერმინი რომ გავიხსენოთ, რინგზე მეორე, კარგად ნაცნობი მოკრივე გამოიყვანეს. იმ დროისთვის უკვე გამოჩნდა ბ-ნი შევარდნაძის მხრიდან უფლებამოსილებების გადაჭარბების ნიშნები. 1994 წ. 1 მარტიდან მოყოლებული იგი საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად ადგას ხელისუფლების მიტაცების გზას. მისი მომხრე დეპუტატების დანიშვნით დეპუტატობასთან კანონით შეუთავსებელ თანამდებობებზე, მან მიაღწია ხმათა უმრავლესობის მოპოვებას, СНГ-ში საქართველოს შეყვანის რატიფიკაცია უკანონო დეპუტატების მხარდაჭერით მოხდა. ამასთანავე, 2/3 მაინც ვერ შოაგროვა და საკონსტიტუციო საკითხზე სიითი შემადგენლობის უმრავლესობა კანონიერად მიიჩნია (სუვერენიტეტის ნაწილის სხვისთვის გადაცემა რომ ამ რანგის საკითხია, ჩვენში ეჭვს არ იწვევს). მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის უფლებამოსილების საკითხებზე 4 აპრილს ძისმა წარმომადგენელმა ხელი მოაწერა პარლამენტის თანხმობის გარეშე ქვეყნის გახლეჩის განცხადებას. 14 მაისს პარლამენტის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ფნორირებით ასევე კაპიტულანტურ შეთანხმებას მოაწერა ხელი მისმა ამჯერად სხვა წარმომადგენელმა.

ამ საკითხებზე ბევრჯერ გვითქვამს და დაგვიწერია, ანე რომ, ვრცლად მათზე არ შევჩერდებით.

1993 წ. მაისიდან დაწყებული საქართველოს სუვერენიტეტის გასხვისების პოლიტიკა 1994 წ. 1 მარტიდან უკვე ხელისუფლების უზურპაციის ფორმით მიმდინარეობს. ყველა ეს გარიგება უკანონოა და თავის დროზე ბათილად იქნება ცნობილი. ფაქტიურად, შევარდნაძის ადმინისტრაცია დღეს უამრავი კანონდარღვევის გამო კანონგარეშეა. თუ მოისურვებს, დღევანდელ პარლამენტს ძალუძს კანონიერად იმოქმედოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმედი გვაქვს, მომავალი პარლამენტი აღადგენს კანონიერებასა და სამართლიანობას.

დღეისათვის კი ქვეყანაში უმძიმესი ვითარებაა. რუსეთის მიერ ოკუპირებულია აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ფაქტიურად არ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია სხვა რეგიონებზეც. ბ-ნი შევარდნაძისა და მისი ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირების სტუმრობის დროს თუ ხდება ადგილობრივი მმართველობის მიერ ცენტრალური ხელისუფლებისადმი ფორმალური লояლობის დეკლარირება. რუსეთი იქაც უკვე ჩვენზე ძლიერია; ერთი სიტყვით, დარღვეულია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. ქვეყანაში დათარეშობენ რაიონული მასშტაბის თუ უფრო მსხვილიც კრიმინალური და მაფიოზური ბანდები, რომლებიც ოფიციალურ ხელისუფლებაზე უფრო ეფექტურად აკონტროლებენ ადგილებზე სიტუაციას. ყველა უბედურებასთან ერთად მათი მეკობრეობით სახელმწიფოს რღვევის ტენდენციებიც ღრმავდება. საუბედუროდ, სახელმწიფოს ჩანასახშივე კვდომის სხვა მახასიათებელიც უამრავია, მათზე აღარ შევჩერდებით. ვის ეკისრება ყოველივე ამისათვის რეალური პასუხისმგებლობა? არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს, მასთან ერთად დამნაშავეა საპარლამენტო უმრავლესობა და მეტწილად საბჭოთა ადამიანებით დაკომპლექტებული მთავრობა (სხვათა შორის, ჩვენს პარლამენტში წიგნიერებისადმი ალერგიაც კი შეიმჩნევა — გავიხსენოთ, ვის გაუჭირდა მინისტრებიდან 112 ხმის მოგროვება). საპარლამენტო უმრავლესობაში მხოლოდ ფრაქციათა კოალიცია „უმრავლესობას“ არ ვგულისხმობ. ქვეყნის გაუბედურებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, ნაკლები დოზით, ეკისრება იმათაც, ვინც სხვადასხვა ეტაპზე უზრუნველყოფდა ბ-ნი შევარდნაძის არასახელმწიფოებრივ კურსს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში, ვისაც СНГ + საქართველო აკმაყოფილებდა და ვერ ხედავდა, რომ მალე იგი უბრალოდ СНГ გახდებოდა, ვინც არ იბრძოდა პარლამენტში ხელისუფლების რეორგანიზაციისთვის, ვინც 1993 წ. 14 სექტემბერი აკადრა ქართველ ერს. ჯერ პარლამენტის შენობის წინ დაჩოქეს ყალები ილუზიებით და იმედით შეპყრობილი ქართველები, მეტწილად წესიერი ხალხი და, მხოლოდ საშინაო მონობის უღელის დემონსტრირების შემდეგ დაგვადგეს რუსეთის უღელი, ანუ, როგორც ბ-ნი შევარდნაძე ბრძანებდა, დააჩოქეს საქართველო.

პასუხისმგებლობა ეკისრება იმათაც, ვინც 1994 წ. მარტში უზრუნველყო ანტირეფორმატორული მთავრობის დამტკიცება პარლამენტში, ვინც სხვებს აჯერებდა, რომ ერთი მერკანალი მოიყვანდა გაზაფხულს, ამ საქციელით ხომ ხელისუფლების სტრუქტურული რეორგანიზაციისა და მოუმზადებელი თუ ოდიოზური მინისტრების გაშვებისაგან იხსნეს შევარდნაძე. მათ არ გალაშქრეს რუსის ჯარის ენგურზე ჩადგომის წინააღმდეგ და ოკუპირებულ აფხაზეთს ნახევარი სამეგრელო მიუმატეს რუსთა საგამგეოდ. დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს შექმნას ორი უმთავრესი მახასიათებელი სჭირდებოდა: რუსეთის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური სივრციდან გამოსვლის მძიმე პროცესის დაწყება და რეფორმები. როგორც მათთვის, ისე შევარდნაძისათვის დამოუკიდებლობის ასეთი გაგება უცხო აღმოჩნდა. ყოველივე ამის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ შევარდნაძე-არძინბას შეხვედრა მათთვის ბრძნული პოლიტიკის კატეგორიებს მოკუთვნება. ისიც მახსენდება, რომ არძინბასთან შეხვედრის შემდეგ ზოგმა ბ-ნი შევარდნაძე ლომის დემეტრე თავდადებულს შეადარა. სახელმწიფოს ხელმძღვანელს ქვეყნის გადასარჩენად კრიტიკულ სიტუაციაში თავის გაწირვის არა მარტო უფლება აქვს, ეს მას ევალება კიდეც. გემის კაპიტანი კატასტროფისას არ გარბის. მაგრამ როცა ასეთი ნაბიჯის შემდეგ ერს ღირსებაც ელახება, პოლიტიკურადაც აგებს, რაკი, სამწუხაროდ მისი სახელმწიფოს მეთაური სიტუაციისადმი სრულიად არაადეკვატურ ნაბიჯს დგამს, გაუგებარია, გუდაუთაში ჩასვლით ქვეყანამ რა ძოგო. ნუთუ რამდენიმე ათეული გაუბედურებული ოჯახის ბედის ანაბარა გალში შემვდგარ არძინბასთან სტუმრობის პოზიტიური შედეგი მე საქმე უფრო მარტივად მგონია — როგორც ელჩინს აღუთქვა ბ-მა შევარდნაძემ, სოხუმში კი შემეპარა კიტოვანი, მაგრამ გუდაუთაში არაფრით არ შევუშვებო (ამას საქართველოს პარლამენტი 2 წლის დაგვიანებით რომ იგებს რუსეთის ტელევიზიით, ეს ალბათ პარლამენტის უძლეველობის ზემოთმოყვანილ შევარდნაძისეულ სიტყვებისადმი მისთვის ჩვეული ერთგულებაა), ისე, ამჟამად უკვე გრაჩოვის დონეც საკმარისი აღმოჩნდა წაჩხუბებული, უკვე რანგში გათანაბრებული მარიონეტების შესარიგებლად.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია და მისი ფრაქცია „რესპუბლიკელები“ მოითხოვს რუსეთზე ორიენტირებული და რუსეთის პატრონობით შექმნილი ხელისუფლების კურსის ცვლილებას და არა მხოლოდ პერსონალის ცვლილებას ამ ანტიეროვნული კურსის გამტარებელ ხელისუფლებაში. რუსეთში მიმდინარე პროცესები გვარწმუნებს, რომ დღეს და უახლოეს მომავალში არ მოხერხდება რუსეთ-საქართველოს ერთობლივ ინტერესთა ისეთი ბალანსის მოძებნა, რომელიც არ შელახავდა საქართველოს ინტერესებსა და სუვერენიტეტს (წელიწადნახევრის წინ და უფრო ადრე ბ-ნი შევარდნაძეც ამას ეუბნებოდა პარლამენტს). ამდენად, ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ასეთ კურსს შევარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლება გაატარებს, თუ მასთან ხან დაპირისპირებული, ხან შეხმატკბილებული უკეთესი „რუსეთუმეობის“ პრეტენზიების მქონე სხვა ძალები. დღეს შევარდნაძისა და ოპოზიციის წყალგამყოფი არის არა იმდენად ის, თუ ვინ როგორ უყარა კენჭი საქართველოს СНГ-ში შეყვანას 1 მარტს, არამედ ის, თუ ვინ მიიჩნევს შესაძლებლად ჩვენი ხელისუფლების საქმიანობაში რუსეთის ჩარევას და ვისთვისაა ეს მიუღებელი. ჩვენი და რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაციის პოზიცია ცალსახაა, სხვების ამჟამინდელი პოზიციების ნათლად ჩამოყალიბება განსაზღვრავს თანამშრომლობის შესაძლებლობას.

რამდენიმე სიტყვით განვმარტავთ, თუ რას ვგულისხმობთ ტერმინში „შევარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლება“. ჩვენი შეხედულებით, ესაა ერთგვარი არამყარი კოალიცია, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს როგორც საშინაო, ისე განსაკუთრებით ბოლო წელიწადში საგარეო პოლიტიკის საკითხებში. მომავალი არჩევნებისათვის ისინი დამოუკიდებლად ემზადებიან — შევარდნაძე მოქალაქეთა კავშირით, ბ-ნი იოსელიანი მაშველთა კორპუსითა და ახლახან ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ორგანიზაციით — „არჩევანი“. მაგალითისათვის გეტყვით, 13 ნოემბერს ვაკის ოლქში პარლამენტის წევრის არჩევნებში მოქალაქეთა კავშირის კანდიდატია მეწარმე, ბ-ნი ცჭიტაშვილი, იოსელიანის წრისა კი კომკავშირული წარსულის მქონე ბ-ნი ბეგიაშვილი. არსებულ შევარდნაძე-იოსელიანის კოალიციის ფარგლებში ისინი კონკურენტები არიან, ჩვენთან დამოკიდებულებაში კი ერთიანნი. სწორედ მათ წინააღმდეგ წარმოადგინა გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ ბ-ნ ლავროსი შევარდნაძის კანდიდატურა.

კიდევერთხელ გაგაცნობთ ჩვენს პოზიციებს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხის მიმართ, რომლებიც ჩვენმა ფრაქციამ შესთავაზა პარლამენტს დღევანდელი სხდომის განსახილველად.

1. „რესპუბლიკელების“ მიერ წელიწადნახევრის წინ შემოთავაზებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის პროგრამის და ამ პროგრამის შესაბამისი კონკრეტული კანონპროექტების უგულებელყოფა ქვეყანას ძვირად დაუჯდა. დღეს რეორგანიზაციის საჭიროება კიდევ უფრო აქტუალურია. ბუნებრივია, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს მეთაური და საპარლამენტო უმრავლესობა ამჟამად მაინც აღმოჩნდება მზად ასეთი კარდინალური ცვლილებებისათვის. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენი პროგრამით შევხვდეთ ახალ საპარლამენტო არჩევნებს და წარმატების შემთხვევაში დავიწყოთ მისი რეალიზაცია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქუჩის აქციები და პროცესების პარლამენტს გარეთ გატანის სხვა ფორმები ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია — ობიექტურად იგი რუსეთის ინტერესების დაცვის მექანიზმია და შევარდნაძისათვის დიდი ალბათობით, მომგებიანი მტრის ხატის შექმნის შესაძლებლობა. რუსეთთან დამოკიდებულების შემდეგ ეს მეორე პარამეტრია, რაც ჩვენ პრინციპულად გვასხვავებს ბევრი პოლიტიკური ჯგუფისაგან. არასაპარლამენტო ფორმები შევარდნაძეს შეანარჩუნებინებს ძალაუფლებას, ქაოსში გადაიზრდება, თუ ზოგი პატრიოტული ჯგუფის გამომყენებელი სხვა „რუსეთუმეები“ მოვლენ მორიგი ნგრევის ფასად ქვეყნის სათავეში, ჩვენთვის ყველა ეს ვარიანტი მიუღებელია. ჩვენს მოვალეობას მოვიხდით და შეგახსენებთ ხელისუფლების რეორგანიზაციის ჩვენეულ გეგმას.

ჩვენ ვთვლით, რომ პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმებისათვის აუცილებელია ძლიერი მთავრობა, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმმართველი პოლიტიკური ორგანო. ასეთი მთავრობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი საპარლამენტო პოლიტიკური ზურგით. როგორც დღევანდელობის რეალობა, ისე ახალი კონსტიტუციისათვის მზადყოფნა გვაფიქრებინებს, რომ არჩევის წესის მიხედვით ჩვენი არსებული პარლამენტი დავყოთ ორ პალატად — მაჟორიტარებით დაკომპლექტებულ ზედა პალატაში დაშვებული იქნებოდა შეთავსებები, ხოლო მთავრობას დაკომპლექტებდა საკანონმდებლო-პოლიტიკური ბაზით უზრუნველყოფდა პარტიული სიებით არჩეული დეპუტატებისაგან შემდგარი 150 წევრიანი ქვედა პალატა, სადაც ადვილად ჩამოყალიბდებოდა რეალური უმრავლესობა. თუ ამას კონსტიტუციის მიღებამდე და ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე გავაკეთებთ, კიდევ 1 წელიწადს აღარ დავკარგავთ.

შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის საჭიროებას ჩვენ არ ვხედავთ, მაგრამ რეორგანიზაციის ჩვენეული გეგმის მიღება უფრო ფასეულად მიგვაჩნია, ვიდრე მისი ყოფნა-არყოფნა ხელისუფლებაში. ასეთი რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი უფლებამოსილებანი განისაზღვრებოდა. როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, ამდენად, იგი ხელს ვერარ შეუშლიდა ქვეყნის რეფორმატორულ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას.

ექსპერტებთან შეთანხმებული საქართველოს კონსტიტუციის შეჯერებული პროექტიც სწორედ ასეთი მოდელია შექმნილი.

ერთი წლის წინ დაიწყო სახელმწიფოს მეთაურის მიერ უფლებამოსილებების გადაჭარბების პროცესი, რომელმაც 1994 წ. 1 მარტიდან საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად ხელისუფლების უზურპირების ფორმა მიიღო. რაკი შევარდნაძემ ვერ მოახერხა პარლამენტის წევრთა 2/3-ის დაყოლიება საქართველოს СНГ-ში გაწევრიანებაზე, წევრთა უმრავლესობით მიღებული უკანონო გადაწყვეტილება კანონიერად გასაღა. უმრავლესობის მიღწევაც მან თანამდებობებს შეთავსებულ დეპუტატების ხმებით მოაგროვა, რითაც დაარღვია კანონი ხელისუფლებისა და დეპუტატის სტატუსის შესახებ.

ასევე კანონდარღვევით მოაწერეს ხელი მისმა წარმომადგენლებმა 4 აპრილისა და 14 მაისის დოკუმენტებს.

ასე რომ, 1994 წ. 1 მარტიდან მოყოლებული შევარდნაძის და საპარლამენტო უმრავლესობის საქმიანობა უკანონოა და როგორც კი საშუალება მოგვეცემა, ჩვენ მათ ბათილად ვცნობთ.

შევარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლება საქართველოს ინტერესების საზიანოდ მოქმედებს, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში მათი კურსის კრახი სახეზეა.

„რესპუბლიკელების“ მიერ წელიწადნახევრის წინ შეთავაზებული საკანონმდე-

გაგრძელება მე 7 გვ.

... მაშინ რაღას ვერჩით მხოლოდ ასლან აბაშიძეს?..

მესამე გვერდიდან

ან ბათუმთან — ჭოროხის შესართავთან გაზის საბადოს აღმოჩენის აყიოტაჟი გავიხსენოთ. რა აღმოჩნდა საბოლოოდ? სპეციალისტებისათვის ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავი ყოფილა და ამასთან ერთობ საფრთხილო რეკლამისათვის. გარდა ამისა, ერთი წლის წინათ ამ საძიებო სამუშაოებისათვის აჭარაში აღნიშნულ ტერიტორიაზე ფაქტობრივად არ დაუშვიათ თბილისელი სპეციალისტები (გაზეთი „თბილისი“, 10 ოქტომბერი, 1994). სხვათაშორის, ამ საქმესთან დაკავშირებით სიფრთხილისაკენ ტაქტიანი მოწოდება შეინიშნება მიმდინარე წლის 5 სექტემბრის თქვენს ტრადიციულ რადიოინტერვიუშიც.

ბატონო სახელმწიფოს მეთაურო, რა ისეთი დანაშაული მიუძღვის ქართველ ხალხს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისმინოს ასეთი ცრუ ინფორმაციები და თანაც ცენტრალური საინფორმაციო საშუალებებით?

გავიხსენოთ ისიც, რომ მიმდინარე წლის 12 ივლისს ბათუმში შეკრებილმა ე.წ. აქტივმა მიიღო მიმართვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისა და ქართველი მოსახლეობისადმი, რასაც ხელს აწერდნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები. ეს მიმართვა გამოქვეყნდა 13 ივლისის „აჭარაში“ ულტიმატური და ვიტყოდით სამარცხვინო რუბრიკით — „აჭარა მოითხოვს, აჭარა აფრთხილებს!“.სამწუხაროდ ეს მიმართვა ცენტრალურმა საინფორმაციო საშუალებებმა არ გაავრცელეს, რათა ქართველ მოსახლეობას საბოლოოდ დაენახა, თუ რა დონემდეა დათრგუნვილი თუ დაშვებული იქაური ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი, მინისტრი და წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი. სხვანაირად ყოვლად გაუგებარი და აუხსნელია ამ აღმაშფოთებელ და უსაფუძვლო მიმართვაზე ხელის მოწერა.

ამ მიმართვის პასუხად თქვენ შექმენით სპეციალური კომისია ვიცე-პრემიერ ავთანდილ მარგიანის ხელმძღვანელობით, რომელსაც ორი კვირის განმავლობაში უნდა გაეცა პასუხი მიმართვაში დასმულ კითხვებზე. გავიდა სამ თვეზე მეტი და კომისია დუმს და ეს დუმილი ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა ბათუმში ატეხილი განგაშის უსაფუძვლობა.

ან ის რით ავხსნათ, რომ გასული წლის ოქტომბრის თვეში ბათუმში მასობრივ დაპატიმრებათა („ასანიძეების საქმე“) ფაქტთან დაკავშირებით შექმნილმა საპარლამენტო კომისიამ ვერაფერი გააკეთა, ხოლო ამ საქმეზე აჭარის ხელისუფლებამ საერთოდ არ გაიკარა რესპუბლიკის პროკურატურა?

აჭარაში ჩამოყალიბდა პარალელური სტრუქტურები — აჭარის მშვიდობის დაცვის კომიტეტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი, რაც სახელმწიფოში სახელმწიფოს შექმნის მცდელობაა. ამასთანავე განზრახულია იმდენი რაოდენობისა და ისეთი პიროვნებების პრემიების დაწესება, რომ საეზეზე გვაქვს პროვინციალიზმის ზეობა.

ამის ფონზე კი თქვენ — ბატონო სახელმწიფოს მეთაურო საჯაროდ იწონებთ აჭარის ხელისუფლების არჩეულ კურსს და ეს რეგიონალური მმართველობის ხანის დადგომით გინდათ გაამართლოთ. ეს ხომ სრული შეუსაბამობაა რეალურ ვითარებასთან! რა რეგიონალურ მმართველობაზეა ლაპარაკი, როცა სახეზეა ერთპიროვნული მმართველობა — ნამდვილი ადგილობრივი დიქტატურა: რა რეგიონალურ მმართველობაზეა ლაპარაკი, გარეკილია ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლება, ყოველგვარი საკადრო ცვლილება მხოლოდ ერთი კაცის ნება-სურვილით ხდება, ერთი წლის განმავლობაში სამჯერ იცვლება შინაგან საქმეთა მინისტრი, ორჯერ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, მთავარი პროკურორი, სასამართლოს თავმჯდომარე და ყოველი ახალი საკადრო გადაადგილებისას „თანამოაზრეთა“ გუნდში სულ უფრო იზრდება საბაჟოს მოხელეთა ხვედრითი წილი.

ყურადღებას შევაჩერებ აჭარის ისტორიის ოთხტომეულის შექმნისათვის მიღებულ დადგენილებ. ახლახან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებთან შეხვედრისას აჭარის უ.ს. თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ ამ ფაქტში ოპონენტები სეპარატიზმს ხედავენო. არადა, აქამდე ოპონენტთაგან საჯაროდ არაფერი უთქვამთ. მაგრამ ასლან აბაშიძემ და მისმა გარემოცვამ უკეთ არ იცის რას აკეთებს და რა მიზნით?!

მოდით ვიკითხოთ — რა გამართლება მოეძებნება მთლიანი საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის გვერდით პატარა აჭარის ისტორიის ოთხტომეულის მომზადებას? გავესაუბრე საქართველოს ისტორიის სპეციალისტებს, მათ შორის იმათ, ვინც უშუალოდაა დაკავშირებული ამ საქმესთან და მათგან არც ერთს არ მოუწონებია ეს იდეა ბოლომდე. დუმილს კი მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილებით ხსნიან. აი სადამდეა მისული საქმე!

მრავალთაგან კიდევ ერთ საგანგაშო ფაქტზე შევაჩერებ ყურადღებას: აჭარის სასაზღვრო ზონის დადგენისა და სასაზღვრო რეჟიმის თაობაზე აჭარის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მოქმედებაში შედის, ჩვენი აზრით, არც თუ ისე ძნელად გასაშიფრი შორს გამიზნული ნორმატიული აქტები, რის ძალითაც რუსეთის ჯარებს მინიჭებული აქვთ განუსაზღვრელი უფლებები აჭარის ტერიტორიაზე (დაწვრ. იხ. გაზეთი „აჭარა“, 13 სექტემბერი, 1994). სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით — არა გვგონია ყველაფერი ეს საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით და მის საკეთილდღეოდ კეთდებოდეს.

ბატონო სახელმწიფოს მეთაურო, ისიც ფაქტია, რომ აჭარის ხელისუფლება დიდად ზრუნავს ქართული კულტურისათვის (მეცნიერება, თეატრი, კინო...), მაგრამ ამის გვერდით გამოდის წიგნები ერთი — აბაშიძეთა გვარის განსაკუთრებულობაზე — მესიანურ როლზე საქართველოსათვის, აჭარის ტელევიზია კი სიცოცხლეშივე ძეგლს უგებს „მოწამეობრივ“ გმირს — ასლან აბაშიძეს და იღებს მასზე მრავალსერიან ფილმს — „გზა გოლგოთისაკენ“.

ისტორიიდან ცნობილია,რომ დიქტატორები გარკვეულ ინტერესებს იჩენენ კულტურისადმი, რათა ამით ერთგვარად შენიღბონ მათი საეჭვო პოლიტიკური ქმედებანი. ამასთან, როგორც წესი, ნამდვილი ქველმოქმედება არ ყვირის, ამის უამრავი მაგალითი იცის საქართველოს ისტორიამ. ამასთან, ქველმოქმედება მხოლოდ საკუთარი გარჯის ნაყოფით უნდა სრულდებოდეს.ეს პრინციპი შუა საუკუნეების საქართველოშიც იცოდნენ: „მხოლოდ ის, რაც ადამიანს თავისი ოფლით, სვინდისიერად შეუძენია, მხოლოდ ის იყო წმინდა და საქველმოქმედოდ, მოყვასისადმი ძმურ ღრმა სიყვარულისა და სიბრალულის გამოსაცხადებლად გამოსადეგარი“ (ივანე ჯავახიშვილი, ჟურნ. „ივერია“, №13, 1906, გვ. 13). როგორც ჩანს, დღემდე მეცნიერთაგან თუ სხვა დარგის წარმომადგენელთაგან, ვისაც ატალახებული აქვს აჭარის უ.ს. თავმჯდომარის კაბინეტის მისაღები, არავინ ჩაფიქრებულა, საიდან და რა წყაროებიდან მოდის ეს უზარმაზარი „საქველმოქმედო“ ხარჯები.

ყველაფერი, რის თაობაზეც მოგახსენეთ ბატონო სახელმწიფოს მეთაურო, სხვა არაფერია, თუ არა იდეოლოგიური ფონის შემზადება შორს მიმავალი მიზნებით.

ყოველივე ამის შემდეგ, თუკი თქვენ, ბატონო სახელმწიფოს მეთაურო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ზოგიერთ წევრს და კიდევ სხვებს აჭარის ხელისუფალთა ქმედებები — ერთპიროვნული მმართველობა, საინფორმაციო საშუალებებზე სრული დიქტატი, განსხვავებული აზრის დევნა, პროვინციალიზმის აღზევება, განკერძოებისაკენ სწრაფვა და ა.შ. სანიმუშოდ და მისაბაძად მიგაჩნიათ, რაც საბოლოოდ მთელი საქართველოს მასშტაბით ბოლშევიკური ერთმმართველობის პრინციპების აღდგენაზე ოცნებაცაა, მაშინ მართლაცდა რაღას ვერჩით და რაღა გვესაქმება მხოლოდ ასლან აბაშიძესთან?!

მიხეილ მახარაძე,
ფილოსოფიურ
მეცნიერებათა დოქტორი

ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ...

მესამე გვერდიდან

აბორიგენობაზე დააფუძნეს და, სხვა რომ ვერაფერი გამოახეს, ამის საფუძველზე ცდილობენ, ერთის მხრივ, თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოების აშენებას, მეორეს მხრივ, სხვისი ტერიტორიების მისაკუთრებას, რასაც ჯერ-ჯერობით წარმატებით ახორციელებენ.

ასეა, ვისაც როგორ ჯერთ, ამის მიხედვით ჭრის ერთიანულ იდეოლოგიას, ჩვენ კი რატომღაც ყველაფერი უკეთესი გვიფიქრია — დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება ერთიანული იდეოლოგიის გარეშე — ასეთია ჩვენი დღევანდელი დევიზი.

სწორედ ამიტომაა, რომ სწორი მიმართულება ვერ აგვირჩევია და ხელის ცეცებით ვაწყდებით წინ და უკან.

არადა, საქართველოს მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ყოველთვის ჰქონდა გამოუშავებული მიმართულების ორიენტირი — ერთიანული იდეოლოგია, რომლის გარეშეც ირაზმებოდა მთელი ქვეყანა — სრულიად საქართველო.

„და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავისაგანი. ამან გარეგრცო ენა ქართული და არაბარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვისიერ ქართულისა და ამან შეეწყნა მწიგნობრობა ქართული“ — ეს ერთიანული იდეოლოგია იყო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ასაზრდოებდა ქართველთა ცნობიერებას.

უფრო მოგვიანებით კი ცნობილმა ქართველმა მწერალმა ახალ ჩამოაყალიბა ქართული ერთიანული იდეოლოგიის ქვაკუთხედი შუა საუკუნეებისათვის — „ქართლად ფრიადი ქვეყანაა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

„დავით მეფე — მესიის მახვილი“. — ესეც ერთიანული იდეოლოგია იყო.

მე-15 საუკუნის შემდეგ კი, როცა დიდი საქართველო „პატარა საქართველოებად“ დაიშალა, მათ გარეშე მტერთა წინააღმდეგ თავისებურად მაინც აერთიანებდა ერთიანი ქრისტიანული საქართველოს იდეა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დიდმა ილიამ წმიდა ტრიადით გამოხატა ქართული ერთიანული იდეოლოგიის არსი — „ენა, მამული, სარწმუნოება“ — ეს სამება უნდა წამძღვარებოდა ქართველობას ისტორიის ბნელ შარაგზებზე არსებობისათვის ბრძოლაში.

მაგრამ მეოცე საუკუნის კატაკლიზმებმა საუკუნის დასაწყისში ჯერ თავად ერის მამას მოუღო ბოლო, შემდეგ კი, საუკუნის ბოლოსათვის ილიასეული წმიდა სამებიდან ფიზიკურად ლამის აღარც ერთი არ შეგვრჩა.

ახლა მგონი აღარავის არ ეეჭვება ის, რომ ამა თუ იმ ერისა და ხალხის არსებობის მთავარი ნიშანი ენაა. ქართული ენა დღეს ისეა შერყვნილი და დანაგვიანებული, თუ ქვეყანა დროზე არ მოვიდა გონზე, მალე ვეღარც ვიცნობთ ჩვენს ენას.

თუ ილიას დროს დედა საქართველო, ოსმალური და რუსული იმპერიების ჭიდილის წყალობით დიდი ხნის წინათ მიტაცებული „ოსმალეთის საქართველო“ დაუბრუნდა, მეოცე საუკუნეში ხვეისი გამოისობითა და ჩვენი უნაყოფობით, ჯერ ათიან წლებში „ოსმალეთის საქართველოსიან“ ერთიად სოჭიადლერას რეგიონი, ხინგილი და ლორეს ოლქი დაკარგეთ, შემდეგ 90-იანში სამაჩაბლი და აფხაზეთიც ზედ მიეყოლეთ.

ფაქტია, დღეს ერთიანი საქართველო აღარ არსებობს. თუ აქამდე საქართველო „პატარა საქართველოებად“ იშლებოდა, ახლა ჩვენს ტერიტორიაზე ავტონომიელთა ვუფა სახელმწიფოები — კიბოვანი წყლულები — წარმოშობილა და დანიჭით ემუქრება მრავალათასწლოვანი ისტორიის მქონე ქვეყანას.

ეს მწარე სინამდვილეა და რაც უფრო ადრე გამოიჩიზლდება ჯერ კიდევ ლენინური ინტერნაციონალიზმის ბურუსში მყოფი ქართველთა ერთი ნაწილი, მით უკეთესი, თუ არა და გაჭირვალი ხალხების წითელ წიგნში შეტანის საფრთხე არ აგვცდება.

როგორც ენობრივად და ტერიტორიულად, ასევე სარწმუნოებრივადაც, დარღვეულია საქართველო. ჩვენ ხელმეორედ გვესაჭიროება გაქრისტიანება.

ისტორიულად ჩამოყალიბდა ისე, რომ ქრისტიანობა და ქართველობა სინონიმები იყო. დღეს, სამწუხაროდ, ორივე მორღვეულია.

ქართველობის გაერთიანებისათვის ქრისტიანობამ კვლავ უნდა თქვას თავისი სიტყვა. ყველა ქართველი უნდა გავაერთიანოთ და შემოვიკრიბოთ, რა აღმსარებლობისაც არ უნდა იყოს იგი — მაჰმადიანი, გრეგორიანი თუ „ფრანგი“. მაგრამ უნდა გავახსოვდეს, რომ ის კულტურა, რომლითაც ქართველი ერი ამაყობს, ქრისტიანულმა საქართველომ შექმნა და ქვეყნის გადასარჩენად კვლავ მან უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა.

დღეს ისეთი სიტუაციაა, როგორც პოეტის ლექსშია — „ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ“. და, როგორც არასდროს, საქართველო ყოფნა-არყოფნის საზღვარზეა მისული და რაც უფრო მალე, საყოველთაოდ გავიცნობიერებთ იმას, რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, არც მეტი არც ნაკლები, დასასრულის დასაწყისია, რაც უფრო მალე მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს გადარჩენის უპირველესი საწინდარი ეროვნული იდეოლოგიის გამომუშავება და ჩამოყალიბებაა — ისეთი ეროვნული იდეოლოგიისა, რომელიც ერთ მუშტად შეკრავს ლიხი იქეთურებსა და ლიხთ აქეთურებს, ერსა და ბერს, მოხუცსა და ახალგაზრდას, ჭკვიანსა და სულელს, პარტიებად, საზოგადოებებად, ფირმებად და ბანკებად დანაწევრებულ საქართველოს. სხვანაირად, მარტოოდენ ლუკმა პურისათვის მებრძოლი, გათვითოკაცებული ხალხის მომავალი საეჭვოა.

ბიძინა თავაძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდ ამბებს ვხედავთ...

მეხუთე გვერდიდან

ბლო და აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის პროგრამის და ამ პროგრამის შესაბამისი კონკრეტული კანონპროექტების უგულვებელყოფა ქვეყანას ძვირად დაუჯდა. დღეს რეორგანიზაციის საჭიროება კიდევ უფრო აქტუალურია. ამასთანავე, შევარდნაძე —იოსელიანის ხელისუფლება ამჯერადაც არ აპირებს რეფორმებს და ჩვენ გვიხდება ახალი საპარლამენტო არჩევნებისათვის გადავდოთ ჩვენი წინადადებების რეალიზაციის მცდელობა.

2. საგარეო-პოლიტიკური ორიენტირი უნდა იყოს ევრო-აზიურ დერეფანში ამიერკავკასიის, როგორც დამაკავშირებელი ყელის განსაკუთრებული ფუნქცია — ფართო მასშტაბით — ევროპიდან აზიისაკენ, რეგიონული თვალსაზრისით — თურქეთიდან თურქულენოვანი შუა აზიისაკენ. შეგახსენებთ, რომ თავდაცვის კანონის შესაბამისად, საქართველო აქტიური ნეიტრალიტეტის ქვეყანა უნდა ყოფილიყო. სომხეთ-აზერბაიჯანის ომში ჩვენ მკაცრ ნეიტრალიტეტს ვაცხადებთ. ასეთი პოზიცია სწორედ ჩვენი ეროვნული ინტერესებითაა განპირობებული. ამასთანავე, არავისთვის საიდუმლო არაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსის ჯარი და საერთოდ საქართველოს მაკონტროლებელი რუსეთი აზერბაიჯან-სომხეთის ომში საკუთარ პარტნიორს ეხმარება. ფაქტიურად დარღვეულია ჩვენი ისტორიული ფუნქცია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში. აუცილებელია ამ ფუნქციის აღდგენა პერსპექტივაში კავკასიის ერთიან რეგიონად ჩამოსაყალიბებლად; დღეისათვის აშკარად იკვეთება მისი პირველი ეტაპი — საქართველო-აზერბაიჯანის მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროება. დასავლური ინვესტიციების მოზიდვა და შესაბამისად დასავლეთის რეალური ინტერესის გაჩენა საქართველოში მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული აზერბაიჯანული ნავთობის მოპოვების და ტრანსპორტირების პრობლემასთან.

3. ცხინვალი და აფხაზეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულია, იურიდიულად ისინი საქართველოს რესპუბლიკის ნაწილებია. ჩვენ არ უნდა დავუშვათ სამხედრო მარცხის სამართლებრივ-პოლიტიკური გაფორმება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება სამხედრო ფაქტორის გათვალისწინებით მოხერხდება მხოლოდ. აფხაზეთის სტატუსის პრობლემა ჩვენ სხვაზე უკეთ მოგვეხსენება და არც ბევრი ჩვენი კოლეგისაგან განსხვავებით უმრავლესობიდან, ბიოლოგიურ ზიზღს არც განვიცდიდით და არც ვავლენდით აფხაზების მიმართ (გადაიკითხეთ პარლამენტის სტენოგრამები). სტატუსი აფხაზეთზე საქართველოს იურისდიქციის რეალური გავრცელების პროცესში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის ანუ ჩვენ რასაც ვთვლით საჭიროდ, იმის მიხედვით და დიალოგიც ქართველებსა და აფხაზებს შორის ამ ფონზე შუამავლების გარეშე შედგება. აქვე უნდა გითხრათ,რომ შევარდნაძემ და საპარლამენტო უმრავლესობამ ბევრი რამ მოახერხეს ისეთი, რომ ეს დღეს ძნელად გადასაწყვეტია.

ცხინვალის რეგიონს პოლიტიკური ავტონომია საბჭოთა პერიოდშიც კი არ ჰქონია და ამ მიმართულებით სვლა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ინიციატივები, უპერსპექტივოა. ამ რეგიონის სტატუსი საქართველოს კონსტიტუციის თემაა. აფხაზეთის პრობლემის მოგვარების, ანუ საქართველოს აფხაზეთში რეალურად დაბრუნების დაწყებამდე ჩვენთვის ყველა თვალსაზრისით მიუღებელია ცხინვალის ზონის სტატუსზე ვინმესთან მოლაპარაკება. საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა, რომელსაც ა. აბაშიძეც კატეგორიულად მოითხოვს, არის რეალურად სუსტი ძაფებით დაკავშირებული კონფედერირებული ერთეულების კავშირი, სადაც თბილისისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად თითოეულ ცენტრს გააკონტროლებს მოსკოვი. დღევანდელი, დამარცხებული საქართველოსთვის რაიმე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ჩვენი უძლურების გამო მიუღებელია.

ამ პოზიციების გამოხატვის შემდეგ, ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ от сюда туда-ს ჩვენეული ინტერპრეტაციის გამო რუსის „სამშვიდობო“ ჯარების ყოფნის გაგრძელება აფხაზეთ-სამეგრელოში საჭიროდ არ მიგვაჩნია, ასევე არ მიგვაჩნია საჭიროდ რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში დატოვება და ეს ალბათ, ერთადერთი საკითხია, სადაც რესპუბლიკელები და ბ-ნი ჯ. იოსელიანი დღეს ერთმანეთს ვეთანხმებით.

იმის გასაკვეთად, რუსეთთან ინტეგრირება იძლევა ქართველთა სახელმწიფოს და საერთოდ, ქართველობის გადარჩენის შანსს თუ რუსეთისაგან მოშორება, დასასრულს კიდევ ერთხელ დავიმოწმებ ბ-ნ მერაბ მამარდაშვილის სიტყვებს, რომელიც ბევრისადვის შეუვალი ავტორიტეტია (პრეზიდიუმშიც და დარბაზშიც).

„30 წელი ვიცხოვრე რუსეთში იმ რწმენით, რომ ქართველი ვარ და რომ ქართველები მაინც არ ვართ ისეთი ბნელი, როგორც რუსები. მხედველობაში არა მყავს განათლებული ადამიანები, მეცნიერები და ა.შ. — მე ვგულისხმობ სამოქალაქო სიბნელეს, აზროვნებას, რომელიც ნაწილია ჩვენი ცხოვრებისეული საქციელისა: ვფიქრობდი, რომ რაკი ქართველები უფრო სიცოცხლისმოყვარული ხალხია, იუმორის გრძნობა აქვთ, გული შერჩენიათ, აქვთ ჩვენი ძველი რაინდობის ხატი, ინდივიდუალისტები არიან, სკეპტიკოსები და ა.შ., მათი ბოლომდე დამონება მაინც შეუძლებელია. ამის კონსტატაციას ვაკეთებდი ყოველდღე მოსკოვში და მის შემოგარენში. დავბრუნდი და აღმოჩნდა, რომ ეს ილუზია ყოფილა, რომ მენტალური, ფსიქოლოგიური, სიტყვიერი დამონების პროცესი ძალიან წინ და შორს წასულა. მე მაინც ნაკლებად პესიმისტურად ვუყურებ სიტუაციას, ჩვენს ისტორიულ, ტრადიციულ, კულტურულ პოტენციალს, ვიდრე რუსეთისას. იქ, ვგონებ, ვითარება მართლა შეუქცევადია და რუსი რომც ხედავდეს და უნდოდეს, ვერაფერს გახდება“. (საუბრები ფილოსოფიაზე, გვ. 170. 22.IX.90)

ნარსულის რამდენიმე ეპიზოდი

ვაქვეყნებთ ბატონ სერგო ტაბატაძის მოგონებას, რომელიც შუქს ჰფენს ჩვენი საუკუნის ისტორიის ზოგ საინტერესო ფაქტს ამიერკავკასიაში. ბატონი ტაბატაძე სპეციალობით აღმოსავლეთმცოდნეა, მეორე მსოფლიო ომის დროს ოფიცერი იყო სსრკ შეიარაღებულ ძალებში. წლების მანძილზე იმუშავა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში. ერთხანს იყო ამ კომიტეტის პირველი მდივნის ვ.მჟავანაძის თანაშემწის თანამდებობაზე. იმის თვითმხილველი და მოწმეა, რასაც მოგვითხრობს.

1944 წლის აგვისტოს ბოლოს სომხეთში ლენინაკანის გარნიზონის შესაშოწმებლად ჩამოვიდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სარდლის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ა.ი. ხადეევი, რომელმაც მოაწყო გარნიზონის ჯარების ფართომასშტაბიანი მანევრები საბრძოლო სროლებით.

მანევრებში მონაწილეობდნენ ყველა სახეობის ჯარები (სროლილია შენაერთები, სატანკო და ცალკეული საარტილერიო ნაწილები).

იმ პერიოდში მე ლენინაკანის გარნიზონის ერთ-ერთ შენაერთში ვმსახურობდი როგორც ოფიცერი, ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაურად.

ასეთი ფართომასშტაბიანი მანევრები ლენინაკანის გარნიზონის ჯარებში არ ჩატარებულა მთელი ომის განმავლობაში. ერთი სიტყვით, გარნიზონის ჯარები საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში იქნენ მოყვანილნი.

როგორც შემდეგ შევიტყვეთ, 1944 წლის 8 სექტემბერს უკრაინის მესამე ფრონტის ჯარებმა (სარდალი მარშალი ფ.ი. ტოლბუხინი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-პოლკოვნიკი ა.ს. ჟელტოვი) რუმინეთიდან გადალახეს ბულგარეთის სახელმწიფო საზღვრები და იქ შეეიჭრნენ.

ბულგარეთის არმია ამ პერიოდში ითვლიდა 450 ათას კაცს (30 დივიზიას და ბრიგადას), 400 საბრძოლო თვითმფრინავს.

გარდა ამისა, ბულგარეთის საზღვართან განლაგებული იყო თურქეთის არმიის 20 დივიზია და ბრიგადა.

ბულგარეთის პორტ რუშჩუკში იმყოფებოდა გერმანელთა 112 სამხედრო გემი. რამდენიმე ათეული სამხედრო გემი, რომელიც იდგა ბულგარეთის პორტებში ვარნასა და ბურგასში, გერმანელებმა ჩაძირეს და მთი ეკიპაჟები ბულგარეთის მაშინდელი მთავრობის ხელშეწყობით დაუბრკოლებლად წავიყვანეს გერმანიაში.

ბულგარეთის არმიამ წინააღმდეგობა არ გაუწია მესამე უკრაინის ფრონტის ჯარებს, უბრძოლველად დანებდა და გადავიდა მათ მხარეზე. მოკლე დროში მესამე უკრაინის ფრონტის ჯარები გავიდნენ თურქეთის სახელმწიფო საზღვრებთან.

(გენერალ-პოლკოვნიკი ა.ს. ჟელტოვი. მესამე უკრაინული ბალკანეთში. წიგნიდან: „დიდი განმათავისუფლებელი ლაშქრობა“, მოსკოვი, 1970 წელი, გვ. 126-138 რუსულ ენაზე)

ამ პერიოდში, ე.ი. 1944 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში (დღე არ მახსოვს ზუსტად), მე როგორც თანდამხდური და თვითმხილველი, მოწმე გავხდი ლენინაკანის რაიონისა და მის მიმდებარე საზღვრისპირა ზონის ტერიტორიიდან მდინარე არპაჩაის ორივე მხარეს მცხოვრები თურქების გასახლებისა (აქ მკაცრი ზამთარი იცის, ამიტომ ისინი ცხოვრობდნენ მიწურებში. აქვე ანთებდნენ შეაცეცხლს საქონლის ნაკელისაგან, ვინაიდან ეს ადგილები უტყეოა. იქვე ჰყავდათ საქონელი და ძირითადად მეცხოველეობას მისდევდნენ. ეს თურქები მომთაბარე მეკოგე თურქმანების შთამომავალნი იყვნენ და ამ რაიონებში მიწის სიმცირის გამო ისევ მეცხოველეობას ამკობინებდნენ).

ეს ოპერაცია განახორციელა საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ქვეგანყოფილებამ, ამერიკული მარკის „სტუდებეკერების“ ბრეზენტით გადახურული საბარგო მანქანებით, ისინი გაყვანილი იქნენ ციროვკანისაკენ მიმავალი რკინიგზის ხაზის გადასარბენზე გამზადებული მატარებლების საბარგო ვაგონებში და გაუყენეს შუა აზიისა და ყაზახეთის გზას. როგორც მაშინ ლენინაკანში გავრცელებული ხმებიდან შევიტყვეთ, გასახლებული იქნა დაახლოებით 120000 კაცი.

1968 წელს შუა აზიის რესპუბლიკებისა და ყაზახისტანის გახეთებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 30 მაისის ბრძანებულება,რომ აქ დასახლებულ თურქებს „თუ ისინი ისურვებენ“ უფლება ეძლევათ საცხოვრებლად აირჩიონ ნებისმიერი ადგილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე, რომ სახელმწიფო არ აღებს თავის თავზე მატერიალურ პასუხისმგებლობას გადასახლებისათვის, არ აბრუნებს კონფისკებულ ქონებას, იმაზე რომ ხალხს შეუძლია დაბრუნდეს იქ, საიდანაც გადასახლდა, არავერი იყო ნათქვამი.

1968 წლის ზაფხულში მესხეთელ თურქების ერთ ჯგუფთან ერთად შეხვედრის დროს (იმ პერიოდში ეწეოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და დავალებული მქონდა მესხეთელი თურქების საკითხები) მათ შორის აღმოჩნდა სამი თურქი, რომელნიც გასახლებული იყვნენ სომხეთიდან. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არიან ჩამოსული აქ და რა მისია აკისრიათ მათ, მითხრეს, რომ ვიყავით ერევანში, სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომ მოგვეხინჯა ჩვენი უკან დაბრუნების საკითხი, მათ ამის გაგონებაც არ უნდათ, გვიპასუხეს, რომ თქვენი დაბრუნება სომხეთში არ მოხდებაო. ჩამოსულმა თურქებმა გამიცხადეს, რომ იქ, სადაც ისინი განსახლებული არიან, კარგად მოეწყვნენ და გაცილებით უკეთ ცხოვრობენ ვიდრე სომხეთში ცხოვრობდნენ. ყოველივე ამის შესახებ მოხსენდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს ვ.პ. მჟავანაძეს, რომელიც დაუკავშირდა სომხეთის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და შეეკითხა, თუ რა აზრისა არის იქიდან გასახლებული თურქების უკან დაბრუნებაზე. მან უპასუხა, რომ ასეთი რამ არ მოხდება, ამის შესახებ მოხსენებითი ბარათი გაეგზავნე პარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში ლ.ი. ბრეჟნევის სახელზე და თანაც ტელეფონით ველაპარაკეთ. იგი დამთანხმდა, რომ არც ერთი გასახლებული თურქის ოჯახი არ დაებრუნებინათ სომხეთის ტერიტორიაზეო. ასე მოიხსნა დღის წესრიგიდან სომხეთში იქიდან გასახლებული თურქია, დაბრუნების საკითხი.

ფერღანის ტრაგედიის შემდეგ უზბეკეთი, ყირგიზეთი და ყაზახეთი დატოვეს იქ მაცხოვრებელმა მესხეთელმა თურქებმა. სომხეთიდან გასახლებული თურქებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ეს რესპუბლიკები. როგორც უკანასკნელ პერიოდში გაირკვა, სომხეთიდან გასახლებული თურქები საქართველოდან გასახლებულ ე.წ. მესხეთელ თურქია მასას მიუკედლა და მათთან ერთად იბრძვის ე.წ. „ისტორიულ სამშობლოში“ — მესხეთში დასაბრუნებლად.

ისმის კითხვა, რატომ მოხდა ლენინაკანის გარნიზონის ჯარების ასეთი ფართომასშტაბიანი მანევრები და ჯარები მოყვანილნი იქნენ საბრძოლო მზადყოფნაში, ან რატომ გაასახლეს სომხეთის საზღვრისპირა რაიონებიდან თურქი მოსახლეობა. როგორც იმ დროს გავრცელებული ხმებიდან ჩანს, ამის მიზეზი ერთადერთი იყო: ი.ბ. სტალინს განსაზღვრული ჰქონდა თურქებისათვის ტერიტორიული პრეტენზიების წაყენება მის მიერ სხვადასხვა დროს მიტაცებული ქართული და სომხური მიწების დასაბრუნებლად, აგრეთვე შავი ზღვის სრუტეების ბოსფორისა და დარდანელის საკითხის საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ გადაწყვეტა. მიუუმეტეს, უკრაინის III ფრონტის ჯარები გახული იყვნენ თურქეთის საზღვარზე ამ სრუტეებიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. უკეთუ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდოდა, არ უნდოდა სამხრეთ საზღვარზე სომხეთში და სამცხე-ჯავახეთში საშიში პროთურქული ელემენტი ჰყოლოდა.

როგორც ვიცით, ეს აქცია ვერც 1944, ვერც 1945 წლებში ვერ განხორციელდა, ინგლის-ამერიკის ქვეყნების ხელმძღვანელია კატეგორიული წინააღმდეგობის გამო.ს

სერგო ტაბატაძე

დაუბრუნებლობა

რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და გაეროს დამკვირვებლების მონაწილეობით შედგენილმა შერეულმა კომისიამ დააფიქსირა, რომ კოდორის ხეობიდან და აფხაზეთის სვანეთიდან გამოყვანილია ქართული შეიარაღებული ფორმირებები. აღნიშნულმა ფაქტმა უფლება მისცა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს მოითხოვა გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნება, კერძოდ, გაეროს კომისარიატისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან მოილაპარაკეს, რომ 24 ოქტომბრიდან ყოველდღიურად გალის რაიონში დააბრუნებენ 60 ლტოლვილს. ეს შემობრუნება შესაძლებელი გახდა მოსკოვში დსთ-ს ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრის შემდეგ. ამ შეხვედრაზე რუსეთის სამშვიდობო ძალებს აფხაზეთში ყოფნის მანდატი გაუგრძელეს 1995 წლის მაისამდე. გაგრძელებული მანდატი გამაგრებულია დამატებითი უფლებამოსილებით. სამშვიდობო ძალებს დაევალათ აფხაზეთში დაბრუნებულ ლტოლვილებს თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე შეუქმნან უშიშროების პირობები, ამასთან პარალელურად გამიზნულია აფხაზეთის სტატუსის დამუშავების დაჩქარება. კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების საქმეში წინსვლას ბევრი უკავშირებს თბილისში ოქტომბრის ბოლოს გაეროს გენერალური მდივნისა და ასევე ნოემბერში ვიქტორ ჩერნომირდინის მეთაურობით რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლას. ეს ვიზიტები, ერთის მხრივ დაუსვამენ წერტილს კამათს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთი და საქართველო მოაწერენ ხელს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგების შესახებ გადაწყვეტილებას, რომელთა დისლოკაციის ვადა წლის ბოლოს იწურება. ამასთან ერთად, ბევრი სკეპტიკურად არის განწყობილი მომავალი ცელილებებისადმი. თბილისში გავრცელდა ინფორმაცია,რომელიც მიეწერება რუსეთის თავდაცვის მინისტრს პავლე გრაჩოვს, რომლის მიხედვითაც თითქოს ის თვლის, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა აფხაზეთში თავისი საქმე გააკეთეს — ერთმანეთს დააცილეს მოწინააღმდეგე მებრძოლი მხარეები, ხოლო ლტოლვილების დაბრუნება, გრაჩოვის სიტყვებით, დამოკიდებულია საქართველოსა და აფხაზეთს შორის პოლიტიკური საკითხის დარეგულირებაზე. რუსეთი, მისი აზრით, ამ პროცესში არ ჩაერევა. გრაჩოვი გაუგებარი მიზეზების გამო არ ესწრებოდა ჯერ 21 ოქტომბერს მოსკოვში ბორის ელცინსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის შეხვედრას, შემდეგ კი საქართველოს ლიდერისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრ ჩერნომირდინის შეხვედრას, სადაც მოლაპარაკებაში რუსეთის თავდაცვის მინისტრის ნაცვლად მონაწილეობდა გენერალური შტაბის უფროსი გენერალი კალესნიკოვი. ამასთან ერთად, თბილისში აღშფოთების ტალღა გამოიწვია კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების უფროსის გენერალ-მაიორ ვასილ იაკუშევის ინტერვიუმ გაზეთ „პრავდაში“, სადაც ის ამბობს, რომ აფხაზებს უნდა მიეცეთ უფლება იყვნენ რუსეთის შემადგენლობაში. მიუხედავად იმისა, რომ გენერალი იაკუშევი ამტკიცებს ამ გამონათქვამთან საერთო არაფერი მაქვსო, ოპოზიციური პარტიებისათვის საქართველოში ეს ფაქტი შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნის კიდევ ერთი საბაბი გახდა. ყოფილმა პრემიერმა თენგიზ სიგუამ და თავდაცვის ექსმინისტრმა თენგიზ კიტოვანმა, შევარდნაძის პოლიტიკასთან წინააღმდეგობის ნიშნად დააარსეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი. მის ყრილობაზე მათ განაცხადეს სახალხო ლაშქრის ჩამოყალიბების გადაწყვეტილების შესახებ. მიზანი — საქართველომ დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

აკაკი მიქაძე

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ №50

გაერო მზად არის ითანამშრომლოს საქართველოსთან

საერთაშორისო დამკვირვებელთა რაოდენობა კონფლიქტის ზონაში იზრდება

სერიოზული პრობლემები, რომლითაც შეშფოთებულია ქართული მხარე, რომელიც შეიქმნა კონფლიქტის დარეგულირების მიმდინარეობისას აფხაზური ხელისუფლების მიერ აღმართული ბარიერების გამო, გახდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძესა და თბილისში მყოფ გაეროს გენერალურ მდივან ბუტროს გალს შორის ორშაბათს ჩატარებული ხანგრძლივი საუბრის საგანი. საუბარი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

მოგვიანებით პრესასთან ხანმოკლე შეხვედრისას შევარდნაძემ გვამცნო,რომ მოხდა მნიშვნელოვანი საუბარი იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს საქართველოს, როგორც გაეროს წევრს და გაეროს გენერალური მდივნის ვიზიტი შეაფასა, როგორც „ქვეყნისთვის ისტორიული მნიშვნელობის მქონე“. თავის მხრივ გაეროს ხელმძღვანელმა მადლობა გამოთქვა საქართველოს ხელისუფლებისა და ხალხისადმი თბილი მიღებისათვის და გამოვიდა განცხადებით: „ჩემი ვიზიტის მიზანია გაეროსა და საქართველოს შორის ურთიერთობის განმტკიცება, თანაც ეს მიზანი ყოველთვის აქტუალური იყო იმ დღიდან, როცა თქვენი ქვეყანა ჩვენი ორგანიზაციის წევრი გახდა“. ბუტროს გალმა ხაზი გაუსვა, რომ „გაერომ, საერთაშორისო თანასაზოგადოებამ თავის თავზე აიღო მნიშვნელოვანი მოვალეობა საქართველოში რეგიონალური კონფლიქტების დარეგულირების პლანში და უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საზღვრების დაურღვევლობასთან მიმართებაში“. მისი სიტყვებით ამ მოვალეობათა აღსრულება, რაზეც პასუხისმგებლობას გაეროს წევრები მთლიანად აცნობიერებენ, საწინდარი იქნება ხანგრძლივი და ეფექტური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისა გაეროს ქვეყნებსა და საქართველოს შორის. მალე მან ისიც ბრძანა, რასაც განსაკუთრებით ველოდით, კერძოდ, მიღებული იქნება ყველა ზომა სამშვიდობო პროცესის დასაჩქარებლად. „შემდგომი ნაბიჯები — თქვა გალმა — ბევრადაა დამოკიდებული გაეროს უშიშროების საბჭოზე, იმ რეზოლუციებზე, რომლებიც უკვე მიიღეს და იმათზე, რომლებსაც არ არის გამორიცხული, რომ შემდგომში მიიღებენ და შესაძლებელს გახდიან თანმიმდევრულად გადაილახოს ყველა სირთულე. მაგალითად, რეზოლუცია №937 უფლებამოსილს მხდის გავზარდო საერთაშორისო მეთვალყურეთა რიცხვი კონფლიქტის ზონაში 136 ადამიანამდე“.

ბუტროს გალმა მადლობა მოუხადა ედუარდ შევარდნაძეს 1995 წელს გაეროს 50 წლის იუბილეს აღსანიშნავი კომიტეტის შექმნისათვის, რაც მისი აზრით, მოწმობს „საქართველოს დაინტერესებას გაეროსთან კონტაქტების გაფართოებაში“.

თუმცა ერთმა ქართველმა პარლამენტარმა, რომელიც თანამშრომლობს გაეროს მისიასთან თბილისში, კერძო საუბარში დასავლეთელ კოლეგებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ინიციატივა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ამჟამად მოსკოვს ეკუთვნის და გაეროს წევრი ქვეყნები ამ საკითხში იძულებულნი არიან დაემორჩილონ საერთაშორისო სტრატეგიულ შეხედულებებს. აქედანაა გამომდინარე, პარლამენტარის თვალსაზრისით, ის სირთულენიც, რაც დღეს შეიმჩნევა კონფლიქტის დარეგულირებისას აფხაზეთში.

ნ. ბროლაძე

გაზეთი „ნეზავისიმაია გაზეტა“
2 ნოემბერი 1994 წელი

თარგმნა ნინო ფაცურიამ

სააგენტო „ნეგა“ გვატყობინებს

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების პატრულირების დროს გალის რაიონის დასახლებულ პუნქტ ნაბაკევთან აღმოჩნდა ქართული დივერსიული ჯგუფი 12-15 ადამიანის შემადგენლობით. ქართულმა დივერსიულმა ჯგუფმა ატეხა ხოლა, დაიჭრა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეორე მინისტრმა აგრბამ გამოხატა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებადი უშიშროების ზონიდან საქართველოს ტერიტორიიდან გადმოდიან დივერსიული ჯგუფები, რაც ართულებს გალის რაიონში კრიმინალურ მდგომარეობას.

ინფორმაცია

გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში

4 ნოემბერს შედგა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა პოლიტიკური საბჭოს მდივანი მერაბ ურიდია.

განხილულ იქნა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატ ლავროსი შევარდნაძის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის საკითხი.

პოლიტსაბჭომ პარტიის მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეებად აირჩია:

— მეცნიერებისა და განათლების კომისიის თავ-რე — შოთა ნადირაშვილი;

— ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავ-რე — თენგიზ დიხამინჯია;

— საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავ-რე — დავით ბერძენიშვილი;

— იურიდიული კომისიის თავ-რე — ოთარ ზოიძე;

პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით პრეს-სამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნა მერაბ ქათამაძე.

იმსჯელეს 8 ნოემბრისათვის დაგეგმილ საპარლამენტო დებატებში პარტიის პოზიციისა და მოქმედების ტაქტიკის საკითხებზე.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრეს-სამსახური

4 ნოემბერი 1994 წელი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო:
ძეთი დავლიანიძე, ბელა ებანოიძე, ნინო ზამთარაძე, ბია თვალავაძე, ირმა ლომაური, ნინო ფაცურია, სერგო ჯანაშია.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ. რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
500 რუბლის
შესაბამისი
კურსით კუპონებში